# აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№80 (25.104) ხუთშაბათი, 27 - 28 ივლისი, 2023 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – **10-15** მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - **30-35** გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა **26** გრადუსია, ატმოსფერული წნევა – **757** მილიმეტრი.

მომდევნო **2** დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა ელჭექით.

## სამაშველო კატარღა – ბათუმს

ბათუმში, სამაშველო განყოფილების ტერიტორიაზე, ახალი სწრაფმავალი სამაშველო კატარღის გადმოცემის ცერემონია გაიმართა. ღონისძიებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თეიმურაზ მღებრიშვილი, ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი ალექსი ახვლედიანი და აჭარის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი გრიგოლ ბესელია ესწრებოდნენ.






კატარღა აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით. მასზე დამონტაჟებულია წყლის ფსკერის სკანირებისა და ცეცხლის ქრობის საშუალებები, რაც მეტად ეფექტურს გახდის და მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს როგორც სამაშველო-საძიებო, ასევე სახანძრო ოპერაციებს. აღსანიშნავია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა სამაშველო ოპერაციების ეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, ასეთი 4 ერთეული სამაშველო კატარღა შეიძინა, რომელთა გადმოცემა ეტაპობრივად განხორციელდება.

სტუმრებმა სამაშველო განყოფილების განახლებული ინფრასტრუქტურა დაათვალიერეს და წყალში კატარღის შესაძლებლობები გამოსცადეს.

**ანკა ჩხიკვაძე**

## ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის განხილვა იწყება

აჭარის უმაღლესი საბჭოს კომიტეტებში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილების პროექტის განხილვა იწყება. გადაწყვეტილება ამის შესახებ ბიუროს სხდომაზე მიიღეს, რომელსაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე უძღვებოდა.

კანონპროექტის თანახმად, წელს ბიუჯეტი პირველად გადააჭარბებს 600 მილიონ ლარს - იგი 65 მილიონი ლარით იზრდება.

ბიუროს გადაწყვეტილებით, კანონმდებლობით გათვალისწინებული განხილვის პროცედურები იწყება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების ანგარიშზე.

ორივე საკითხი კანონმდებლებს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე მარინე გვიანიძემ წარუდგინა.

განისაზღვრა წამყვანი კომიტეტი და განხილვის ვადები.

ბიურომ ანგარიში ცნობად მიიღო.

იმავე დღეს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს 2023 წლის 4-8 ივლისს, ბრიუსელში ოფიციალური ვიზიტის ანგარიში წარუდგინა. როგორც დავით გაბაიძემ აღნიშნა, ვიზიტის ფარგლებში მნიშვნელოვანი შეხვედრები გაიმართა ევროპარლამენტარებთან და ევროსტრუქტურების წარმომადგენლებთან. ყურადღება გამახვილდა საქართველოს ევროინტეგრაციის საკითხებსა და კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების პროცესში ევროსტრუქტურების მხრიდან მხარდაჭერის მნიშვნელობაზე, ამ მიმართულებით რეგიონების ჩართულობაზე.

**ანკა ჩხიკვაძე**




ISSN 2720-8702

9 772720 870003



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

დარეკეთ «აჭარის» რედაქციაში - ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია თქვენი მოსაზრება! - 27-48-93

# ერთიანი ეროვნული გამოცდები დასრულდა

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*აბიტურიენტებისთვის ერთიანი ეროვნული გამოცდები დასრულებულია. 26 ივლისს აბიტურიენტებმა ბოლო გამოცდა ფიზიკაში ჩააბარეს. ქვეყნის მასშტაბით 24 საგამოცდო ცენტრი იყო გახსნილი. უმაღლეს სასწავლებელში მოხვედრის სურვილი ახალგაზრდების რეკორდულმა რაოდენობამ - 45 000-ზე მეტმა გამოთქვა*



სტუდენტებმა გამოცდა გრანტის გაუმჯობესებისათვისაც ჩააბარეს. გარდა ამისა, ჩატარდა საგნის მასწავლებლებისა და მასწავლებლობის მსურველთა გამოცდებიც.

2023 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები 3 ივლისს დაიწყო და 28 ივლისს საერთო სამაგისტრო გამოცდით დასრულდება. 45 000-ზე მეტ რეგისტრირებულ აბიტურიენტთაგან ამ დრომდე გამოცდებზე 94%-მდე გამოსაცდელი გავიდა, მასწავლებლისა და მასწავლებლობის მსურველთა საგნის გამოცდებზე დარეგისტრირებულ 18 500-მდე აპლიკანტთაგან გამოცდებზე 82%-ზე მეტი გავიდა. სტუდენტთა საგრანტო კონკურსზე დარეგისტრირებულ 3000-ზე მეტ სტუდენტთაგან კი - 75% -ზე მეტი გამოსაცდელი.

2023 წელს გამოცდების ჩაბარების შესაძლებლობა მსურველებს თბილისში, ბათუმში, ზუგდიდში, ქუთაისში, ფოთში, ახალციხეში, გორში, ოზურგეთში, რუსთავში, თელავსა და ხულოში ჰქონდათ. წელს პირველად, გამოცდებს აბარებდნენ ამბროლაურშიც, სადაც ახალი საგამოცდო ცენტრი გაიხსნა. თითოეული გამოცდის პირველადი შედეგის გამოქვეყნება გასწორების დასრულებისთანავე ეტაპობრივად დაიწყება, რის შემდეგაც გამოსაცდელები საკუთარი შედეგების გასაჩივრებას შეძლებენ.

აბიტურიენტებმა უნდა გაითვალისწინონ, რომ აპელაციის შედეგების გამოქვეყნების მომდევნო დღის ჩათვლით მათ შესაძლებლობა აქვთ, სურვილისამებრ შეცვალონ (წაშალონ ან დაამატონ) საგანმანათლებლო პროგრამები.

- პროცესმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. გამოცდებზე აბიტურიენტების 94% გამოცხადდა. რაც შეეხება მოხსნის შემთხვევებს, შეიძლება ითქვას, რომ წელს პირველად, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, არცერთი აბიტურიენტი არ მოგვიხსნია. დაგვიანებებს რაც შეეხება, ყოველ დღე იყო ერთეული დაგვიანების შემთხვევები, ჯამში - 50-ზე მეტი. ამ ეტაპზე აქტიურად ვმუშაობთ ნაშრომების გასწორებაზე და უკვე აგვისტოს პირველი ნახევრიდან შესაძლებელი იქნება ეტაპობრივად შედეგების გამოცხადება, - აცხადებს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორი სოფო გორგოძე.

# „საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების“ პროგრამა

ნაილე ხერთვისელი 27 48 93

*„საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების“ პროგრამის ფარგლებში, ორი კვარტლის მონაცემებით, აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ 42 პაციენტის სამედიცინო მომსახურება 992 874 ლარით დააფინანსა*

პროგრამის მიზანია მოქალაქეების საზღვარგარეთ მკურნალობასთან დაკავშირებული ფინანსური რისკებისაგან დაცვა, სიცოცხლის შენარჩუნება, ჯანმრთელობის გაუმჯობესება, შესაძლებლობების შეზღუდვის შემცირება. პროგრამის სრული ბიუჯეტი შეადგენს 1 500 000 ლარს.

საზღვარგარეთ მკურნალობა დაფინანსდება იმ შემთხვევაში, თუ პაციენტისათვის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ ხერხდება საქართველოს სამედიცინო დაწესებულებებში, რაც დასტურდება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი ექსპერტების მიერ გაცემული დასკვნის საფუძველზე.

ამავე პროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდება:

18 წლამდე ასაკის ონკოჰემატოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების ძვლის ტვინის ღეროვანი უჯრედების გადანერგვა:

- ძვლის ტვინის აუტოლოგიური ტრანსპლანტაცია - არაუმეტეს 125 000 ლარისა;
- ძვლის ტვინის ალოგენური ტრანსპლანტაცია - არაუმეტეს 200 000 ლარისა;




- ძვლის ტვინის ჰაპლოიდენტური ტრანსპლანტაცია - არაუმეტეს 235 000ლარისა.

გულის გადანერგვა - თითოეულ პაციენტზე არაუმეტეს 220 000 ლარისა.

# ქობულეთის მერიას შინაური ცხოველებისთვის პროგრამის შექმნას სთხოვენ

მართა იბერიელი 27 48 93

*დედაქალაქის გარდა, ფაქტობრივად, საქართველოს არც ერთ ქალაქში არ არსებობს უფასო ან შეღავათიანი სტერილიზაცია-კასტრაციის პროგრამა, მათ შორის, ქობულეთშიც*



არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ და საქართველოს სამოქალაქო საბჭო ერთობლივი პეტიციით შინაური ცხოველების კასტრაციისა და სტერილიზაციის უფასო მუნიციპალური პროგრამის შექმნას და ცხოველთა თავშესაფრის აშენებას ითხოვს. პეტიციას 677 ხელმოწერა სჭირდება, ხელი კი ჯერ მხოლოდ 70 მოქალაქეს აქვს მოწერილი. ორგანიზაციების ინფორმაციით, ქობულეთის მუნიციპალიტეტში ყველაზე მნიშვნელოვან გამოწვევად მიუსაფარი ცხოველებისთვის თავშესაფრის არარსებობა სახელდება.

მოქალაქეები ასევე, 2025 წლიდან ქობულეთის მუნიციპალიტეტში ცხოველთა თავშესაფრის აშენებას ითხოვენ, სადაც შესაძლებელი იქნება ცხოველთა მნიშვნელოვანი რაოდენობის მოთავსება, მათი სამართლებრივი, ვეტერინარული მდგომარეობის დადგენა და შემდგომი პროცედურების განხორციელება.

„მუნიციპალიტეტს არ აქვს შემუშავებული მიუსაფარი ცხოველების ჰიპერპოპულაციის მართვის სტრატეგია. მსოფლიოში არსებული საუკეთესო პრაქტიკა მეტყველებს, რომ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი ყველაზე ჰუმანური გზა, ცხოველის გამრავლების უნარის შეზღუდვაშია. გადაწყვეტილების მიმღები პირები ვერ აანალიზებენ, რომ ეს სარგებელთან ერთად, ზიანის შემცირების და ადამიანების უსაფრთხოების დაცვისკენ გადადგმული ქმედითი ნაბიჯია. პროგრამით უფასოდ სარგებლობის შესაძლებლობა უნდა მიეცეს ქობულეთში რეგისტრირებულ ან ქობულეთში მუდმივად მცხოვრებ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს 2024 საბიუჯეტო წლის განმავლობაში. ამ გზით შემცირდება ქალაქისა და მიმდებარე სოფლების ტერიტორიაზე შინაური ცხოველების მიტოვების ფაქტები, რომლებიც მათ არასასურველ გამრავლებას უკავშირდება. აქედან გამომდინარე, უნდა აშენდეს ცხოველთა დროებითი და ხანგრძლივი განთავსების თავშესაფარი შესაბამისი სტანდარტებით, რომელიც აღჭურვილი იქნება ლაბორატორიით, ვეტერინარული, საკარანტინო, გასეირნებისთვის შესაბამისი სივრცეებით და განთავსების ვოლიერებით. ასევე, აღნიშნულმა თავშესაფარმა უნდა უზრუნველყოს 2024 წელს შექმნილი საბიუჯეტო პროგრამის ცხოველების სტერილიზაცია-კასტრაციის უფასო მუნიციპალური პროგრამის განხორციელება“, - ნათქვამია პეტიციაში.

# საქართველოში შიდა ავიაფრენები განახლდა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ავიაკომპანია **Geosky**-ს სამგზავრო მიმართულების **Georgian Wings**-მა, სამგზავრო რეგულარული ფრენების პროექტის პრეზენტაციაში მიიღო მონაწილეობა და პირველი საჩვენებელი ფრენა განახორციელა თბილისიდან ბათუმამდე.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის მარიამ ქვრივიშვილის განცხადებით, მისასალმებელია, რომ ქართული ავიაციის ინდუსტრია ძლიერდება. „ადგილობრივი ავიაკომპანია მზად არის კომერციულად, სახელმწიფოს დამატებითი ჩართულობისა და დახმარების გარეშე, ფინანსურად, რეგულარულად შეასრულოს კომერციული რეისები თბილისსა და ბათუმს შორის. განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ საწყის ეტაპზე კვირაში 12 სიხშირით შესრულდება ფრენები ორ ქალაქს შორის. ეს ნიშნავს, რომ მოთხოვნა გაზრდილია. კომპანია, თავის მხრივ, შეძლებს, ხელი შეუწყოს ორ ქალაქს შორის მობილობის გაზრდას. ორი საერთაშორისო აეროპორტის არსებობა თბილისსა და ბათუმში უზრუნველყოფს, რომ თბილისში ჩამოფრენილმა ტურისტმა უფრო კომფორტულად და სწრაფად შეძლოს ბათუმში მოგზაურობა და პირიქით. წარმატებას ვუსურვებთ კომპანიას და დარწმუნებულნი ვართ, ერთობლივი ძალისხმევით შევძლებთ, ტურიზმისა და ავიაციის ინდუსტრიების უფრო მეტად გაძლიერებას“, - განაცხადა მარიამ ქვრივიშვილმა.

პრეზენტაციას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი ჯაბა ფუტკარაძე, ქალაქ ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსი თინათინ ზოიძე და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

28 ივლისიდან **Georgian Wings**-ი სამგზავრო რეგულარულ ფრენებს თბილისი-ბათუმი-თბილისის მიმართულებით 70 ადამიანზე გათვლილი იტალიურ-ფრანგული წარმოების საჰაერო ხომალდით კვირაში 12 სიხშირით შეასრულებს. ფრენა დაახლოებით, 55 წუთის განმავლობაში გაგრძელდება.

ავიაკომპანიის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ პანდემიის შემდეგ შიდა ფრენებზე ავიაბილეთების ღირებულება არ შეცვლილა. „თბილისი - ბათუმის რეისზე ბილეთის შეძენა 150 ლარიდან იქნება შესაძლებელი და იგი სხვადასხვა მოთხოვნის მიხედვით შეიცვლება, როგორიცაა ბარგის დამატება, ცხოველის გადაყვანა და სხვა, - ნათქვამია ავიაკომპანია **Geosky**-ის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

# უახლესი კვლევებით, ასობით ადამიანის სიცოცხლე რისკის ქვეშაა

კაცობრიობის სამომხმარებლო მოთხოვნილებები მრავალფეროვანია და ერთმანეთზეა დამოკიდებული. დომინოს მსგავსად, ერთში გაჩენილი არასტაბილურობა მძიმედ მოქმედებს ხაზში მყოფ სხვებზე და წარმოქმნის საზღვრების მთელ კრებულს, რომელთა დარღვევამ შეიძლება სერიოზული პრობლემები გამოიწვიოს. წარსულში ჩატარებულმა კვლევებმა არაერთხელ გაგვაფრთხილა, რომ ჩვენი „მადა“ გავლენას ახდენს სულ მცირე ამ რამდენიმე საზღვარზე, თანაც რღვევის წერტილამდე. თუმცა, რამდენად მოსახერხებელიც არ უნდა იყოს ჩვენი გლობალური ეკოლოგიის ამ გზით ინტერპრეტირება, ვერ ითვალისწინებს იმ ხელმისაწვდომობას, რომელიც შეიძლება საჭირო რესურსებზე გვქონდეს (და ხშირად არ გვაქვს).

მკვლევართა დიდი საერთაშორისო ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული ახალი მოხსენების თანახმად, რომელშიც სიმართლე და სამართლიანობა თითოეულ სფეროშია გათვალისწინებული, ჩვენი პლანეტის სიცოცხლის მხარდამჭერი სისტემები ვერ მოერგო არა მხოლოდ რამდენიმე საზღვარს, არამედ სულ მცირე შვიდს რვიდან.

კლიმატი, ბიოსფერო, წყლის ციკლი, ატმოსფერო და საკვებ ნივთიერებათა ციკლი დედამიწაზე უკვე სახიფათო ნიშნულზეა მისული პლანეტის მოსახლეობის უდიდესი ნაწილისთვის.

თუმცა, როდესაც გათვალისწინებულია სამართლიანობა, ზოგიერთი სცენარი უფრო ადრე იწყებს ზემოქმედებას ჩვენი პლანეტის ზოგიერთ ნაწილზე და აქვს გაცილებით მტკიცე საზღვრები. მაგალითად, აეროზოლები მსოფლიოში მილიონობით ადამიანის ჯანმრთელობას აყენებს რისკის ქვეშ. მოწყვლადი ჯგუფები არაპროპორციულად მეტად ზარალდებიან, მიუხედავად იმისა, რომ ისინი გაცილებით ნაკლებად აბინძურებენ გარემოს.

მაშინ როკშტორმა და მისმა კოლეგებმა მხოლოდ ის განიხილეს, რა „უსაფრთხო“ ბიოფიზიკური საზღვრები ჰქონდა გადალახული დედამიწას. სამართლიანობის ზღვრის დამატებით, ახალი მიდგომა ითვალისწინებს ადამიანის ხელმისაწვდომობას წყალზე, საკვებზე, ენერგიაზე, ჯანდაცვასა და სუფთა გარემოზე.

იხ. მე-7 გვ.

# აჭარის „მემორიალი“ რეპრესირებულთა შთამომავლების გამოხმაურებას ითხოვს

მარიამ ხითარიშვილი 27 48 93

*„აჭარის არ პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა და მათ შთამომავალთა სოციალური დაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია „მემორიალის“ თხოვნით ვაქვეყნებთ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის მიერ მოძიებულ (IDFI) ქალაქ ბათუმში 1937-38 წლებში დახვრეტილ 1050 ადამიანის სიას*

რეპრესირებულთა შთამომავლებს ვთხოვთ, გამოეხმაურონ აღნიშნული „მემორიალის“ ხელმძღვანელ ზურაბ ზაქარიაძეს ყოველდღე 18:00 საათიდან მობილურის ნომერზე 595721416, რათა ორგანიზებულად ჩატარდეს დნმის ანალიზის აღება რეპრესირებულთა ოჯახის წევრებისაგან.

აღსანიშნავია, რომ ააიპ „GAFA“ საქართველოს სასამართლო ანთროპოლოგიის ასოციაცია“ და აჭარის „მემორიალს“ შორის ურთიერთშეთანხმების (მემორანდუმის) საფუძველზე „მემორიალი“ მოიძიებს 1937-38 წლებში რეპრესირებულთა შთამომავლებს, ხოლო ააიპ „გაფას“ საშუალებით მოხდება დნმის ანალიზის აღება, რათა დადგინდეს, ვის მიეკუთვნება აღნიშნული ნეშტები.

დნმის ანალიზის საშუალებით უკვე არის იდენტიფიცირებული მე-5 სამარხიდან ამოღებული 28 ნეშტი, აქედან 3 ადამიანი დაიკრძალა: ხასან დიშლიოღლი - 25 ივნისს გონიოში, ხემდი მალაყმაძე - 16 ივლისს სოფ. ჩიქუნეთში, ჰაფიზ ძნელაძე - 22 ივლისს ახალსოფელში.

1937-38 წლებში აჭარაში დახვრეტილ რეპრესირებულთა შთამომავლები ხელისუფლებისგან მოითხოვენ, რომ ის ადგილი, სადაც აღმოჩენილია 1937-38 წლებში რეპრესირებულთა 200-ზე მეტი ნეშტი და არის თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე არსებული ტერიტორიის ნაწილი, გადაეცეს ქალაქ ბათუმის მერიას შემდგომში კეთილმოწყობისა და მოვლა-პატრონობისთვის. 25 ნეშტი არის სრულყოფილად შესწავლილი, რაც გულისხმობს, სასამართლო ანთროპოლიგიურსა და დნმის (გენეტიკურ) კვლევას.

თავდაპირველად სამოქალაქო წესით დაიკრძალოს ეს 25 ნეშტი, ხოლო დარჩენილი ნეშტები დნმის კვლევის შემდგომ ანალოგიურად განთავსდეს აღნიშნულ ტერიტორიაზე. ამ ადგილს ეწოდოს 1937-38 წლებში რეპრესირებულთა პანთეონი.

წარმოგიდგენთ 1937-38 წლებში ბათუმში დახვრეტილ რეპრესირებულთა სიას, რომელიც შეადგინა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივთან თანამშრომლობით.

ვინაიდან, სია 1050 ადამიანისგან შედგება და გაზეთის ერთი ნომერი სრულად ვერ დაიტევს, მას გაგრძელებებით, სათაურით „1937-38 წლებში ბათუმში დახვრეტილ რეპრესირებულთა სია“ შემდეგ ნომრებში შემოგთავაზებთ.



**დახვრეტის თარიღი 20/08/1937**

1. დარჩია ალექსანდრე დავითის ძე
2. ჩხაიძე ივანე ზურაბის ძე
3. მეძმარიაშვილი ნიკოლოზ ბექას ძე
4. კაკაბაძე ისაკ დავითის ძე
5. ტეროვანესოვი გერასიმე ყაზარის ძე
6. შეწირული კონსტანტინე მიხეილის ძე
7. დონდოლაძე შალვა იორდანეს ძე
8. გამყრელიძე ივანე სიმონიეს ძე
9. მამულაიშვილი ვლადიმერ კონსტანტინეს ძე
10. გიორგაძე ალექსანდრე მიხეილის ძე
11. ამირიანი გრიგოლი აკოფის ძე
12. ფხაკაძე გალაქტიონ ილიას ძე
13. ღურჭუმელია ლევან გიორგის ძე
14. კოღუაშვილი გიორგი ამბაკოს ძე
15. დობორჯგინიძე გაბრიელ ისას ძე
16. ნიჟარაძე ტარას გიორგის ძე
17. წილოსანი კონსტანტინე შევარდენის ძე
18. კახეთენიძე პიმენ ლუკას ძე
19. ბჟალავა საჩინო გიორგის ძე
20. ტიუხტი ივანე თედორეს ძე
21. მეფარიშვილი დავით დოსის ძე
22. მდივანი ევგენი ნიკოლოზის ძე
23. მჟავანაძე გიორგი ტიფოს ძე
24. იმნაიშვილი ილია ყარამანის ძე
25. ლორია მიხეილ იუსტინეს ძე
26. სიხარულიძე ვლადიმერ ბესარიონის ძე
27. ნადარეიშვილი კონსტანტინე ზალიკოს ძე
28. ჭყონია გაგა (გერასიმე) კეისარის ძე
29. ნიკოლეიშვილი სელივან გრიგორის ძე
30. ეკუა მიხეილ ანტონის ძე
31. ჭელიძე მიხეილ მალაქიას ძე
32. ჯინჭარაძე ხარლამპი ევსეს ძე

**დახვრეტის თარიღი 21/08/1937**

33. ტუღუში იაკინთე ამბაკოს ძე
34. ოვაკიმიანი მიხაილ არუტუნის ძე
35. ფესვიანიძე ვიქტორ ათანასეს ძე
36. სალუქვაძე კლიმენტი ლაზარეს ძე
37. კაუშანი იოსებ პროკოფის ძე
38. შავიშვილი ნიკიფორე ნიკოლოზის ძე
39. სინაურიძე მიხეილ სპირიდონის ძე
40. ღაჭავა ალექსანდრე ელიზბარის ძე
41. კაკაბაძე ალექსანდრე მიხეილის ძე
42. მიქაუტაძე კალისტრატე რაჟდენის ძე
43. მჭედლიძე ივანე ზაქარიას ძე
44. ცხაკაია ვიქტორ პავლეს ძე
45. ირემაძე შაჰისმაილ ჰასანის ძე
46. კოხრეიძე ირაკლი ლუკას ძე

**დახვრეტის თარიღი 22/08/1937**

47. გელაძე ასლან ისკანდერის ძე
48. თურმანიძე ჰუსეინ ახმედის ძე
49. თურმანიძე იუსუფ მევლუდის ძე
50. ლორთქიფანიძე ოსმან ხურშუტის ძე
51. სამოლიძე ესრეთ ალი მაირის ძე
52. ჯაიანი მამედ ხასანის ძე
53. თურმანიძე შაქირ ქემბერის ძე
54. აბულაძე ნური რეჯების ძე
55. ართმელაძე ნური ეზიზის ძე
56. შავაძე ილია შაქირის ძე
57. ნაკაიძე მოლა აჰმედ ფერატის ძე
58. გამყრელიძე შაქირ ოსმანის ძე
59. კახაძე (იალანუს ოღლი) ომერ რეშიტის ძე
60. ჩიტ ოღლი მოლა ილიასის ძე
61. გელაძე იუნუს იუსუფის ძე
62. შავაძე შულეიმან სელიმის ძე
63. შავაძე ისკენდერ სულეიმანის ძე
64. ხალვაში მეიდან ბეგი დედობეკის ძე
65. ქარცივაძე დურსუნ ემინის ძე
66. ჩაგოლიძე (ჭაღალიძე) აჰმედ იშიგის ძე
67. ვანაძე იუნუს ჰუსეინის ძე
68. ტარიელაძე მამედ შარიფის ძე
69. თავდგირიძე ზექერია ტოფანის ძე
70. მიქელაძე ჯეფერ გულოს ძე
71. ბოლქვაძე აჰმედ რეშიტის ძე
72. მგელაძე მევლუდ შაქირის ძე
73. ბოლქვაძე ხუსია ასლანის ძე
74. ჯაყელი ოსმან სერდალის ძე
75. ბოლქვაძე აჰმედ დურსუნის ძე
76. შავაძე მევლუდ ესედის ძე
77. ფუტკარაძე დევრიშ ესედის ძე
78. ზოიძე ხეალა ჯოშხუნის ძე
79. გელაძე აბასა ალის ძე
80. ბერიძე ომერ მევლუდის ძე
81. სიხარულიძე ლეონიდე თეოფილეს ძე
82. ტაკიძე მურად ხასანის ძე
83. ხვიჩია მამუდისმაი ლის ძე
84. ჯორბენაძე ვლადიმერ პარმენის ძე
85. ხვიჩია ოსმან ქიბარის ძე
86. ლორთქიფანიძე ლონგინოზ სილოვანის ძე
87. გეცფრიდი ემანუელ ევსტაფის ძე
88. გეცფრიდი ემანუელ ივანეს ძე
89. მეცი იაკობ კარლოს ძე
90. ვებერი პეტრე მიხაილის ძე
91. გეკკი ფრანც იოსების ძე
92. ბენცი გერონიმ მატვეის ძე
93. ერმონტრაუდი პავლე ნიკოლოზის ძე
94. დანელია ტიტე მელიტონის ძე
95. ჯღარკავა ვასილ დიმიტრის ძე
96. რიხტოვსკი გრიგორი ვასილის ძე
97. ბჟალავა იასონ გიორგის ძე
98. მეგრელიშვილი ავთანდილ ერმოლაოზის ძე
99. ჩებოტარიოვი ალექსი სტეფანეს ძე
100. კვინიხიძე სოლომონ დავითის ძე
101. კირპიჩნიკოვი ფიოდორ სერგოს ძე
102. ბედუსენკო პეტრე ივანეს ძე
103. კვირკველია ხარლამპი ქრისტეფორეს ძე
104. კრაცევიჩი ალექსანდრე თომას ძე
105. ლიტოვჩენკო ივანე ნაუმის ძე
106. გოგიბერიძე პოლიექტორ სიმონის ძე
107. ბერუჩაშვილი დავით გრიგოლის ძე
108. ნანეიშვილი კონსტანტინე გიორგის ძე
109. დამანსკი სერგო სტეფანეს ძე
110. პრიხოდკინი ივანე ტროფიმეს ძე
111. ნეროდა ანდრეი ვასილის ძე

**დახვრეტის თარიღი 12/09/1937**

112. ჩხაიძე ოსმან სულეიმანის ძე
113. ჩხაიძე მევლუდ სეიდის ძე
114. შერვაშიძე თემურ ბეგ მახმუდის ძე
115. წულუკიძე ისრაფილ რიზოს ძე
116. თავდგერიძე (თავდგირიძე) ჰასან ტოპილის ძე
117. სურმანიძე ფიქრი მუსტაფას ძე
118. წულუკიძე ისკანდერ რიზოს ძე
119. წულუკიძე რიფეტ ალის ძე
120. წულუკიძე ოსმან ბეგ ალის ძე
121. წულუკიძე ხასან ბეგ იუსუფის ძე
122. დეკანაძე (კაზანჯ ოღლი) თეოფიკე რასიკოს ძე
123. ღოღობერიძე ჰასან მუხამედის ძე
124. ღოღობერიძე აჰმედ ისმაილის ძე
125. აბესლამიძე (მატარჯი ოღლი) ოსმან ხოჯას ძე
126. დევაძე ეიუბ ხუსეინის ძე
127. გელაძე ზაბიტ შუგებოსფ ძე
128. პაქსაძე ისმაილ შამილის ძე
129. ზოიძე შალვა ნიკოლოზის ძე
130. ქათამაძე ჯივან სულეიმანის ძე
131. დავითაძე ოსმან ტოპუზის ძე
132. თურმანიძე შაქირ ალის ძე
133. აბუსერიძე ბექირ ახმედის ძე
134. წულუკიძე ნევზეტ ბეგ რიზას ძე
135. რიჟვაძე ომერ მევლუდის ძე
136. ცეცხლაძე ილიას ოსმანის ძე
137. ნაკაიძე ზაბიტ ხასანის ძე
138. მჟავანაძე აჰმედ ისმაილის ძე
139. ნიკოლაიშვილი შალვა ლუარსაბის ძე
140. ნაგერვაძე მამედ ომერის ძე
141. ჯიჯავაძე ოსმან ეიუბის ძე
142. ბერიძე ქებასი მამუდის ძე
143. ბასილაძე აბდულა ჰასანის ძე
144. აბულაძე ომერ ლომანის ძე
145. ძნელაძე ისლამ ხასანის ძე
146. ჟაყელი სულეიმან დურსუნის ძე
147. შარვაშიძე აჰმედ მიკტოდის ძე
148. დიასამიძე (ყირიმლი) იუსუპ ახმედის ძე
149. დიასამიძე მამუდ ხემიდის ძე
150. დიასამიძე რიზაკ ისმაილის ძე
151. მახარაძე ყადირ შაქირის ძე
152. ბერიძე ყადირ ფერადოს ძე
153. ბაიახტარ ოღლი ხულუს ჰასანის ძე
154. გათენაძე იუნუს მემედის ძე
155. ავალიანი იუსუფ ალის ძე
156. კვერღელიძე გერასიმე ლუკას ძე
157. კობიძე სერაპიონ გლახუნას ძე
158. კონცელიძე ქემბერ ზაბიტის ძე
159. ლორთქიფანიძე მემეჯან ოსმანის ძე
160. წულაძე გაიოზ ლუკას ძე
161. კარაკოზოვი იაკობ ანტონის ძე
162. მჟავანაძე დომენტი ივანეს ძე
163. შეროზია ნიკოლოზ გაიოზის ძე
164. ბოლქვაძე მაქსიმე ლაზარს ძე
165. ღლონტი რაჟდენ დიმიტრის ძე
166. გამრეკელიძე ქერიმ შაკირის ძე
167. ნოღაიდელი ქემალ ოსმანის ძე
168. მიქელაძე ნური აბდულას ძე'
169. ღოღობერიძე აჰმედ ჰაფიზის ძე
170. აბუსერიძე მურად ბექირის ძე
171. ჯუმუშაძე ისაკ აქიფოს ძე
172. ფუტკარაძე ასლან ალის ძე
173. დეკანაძე ჯეფერ რუსტომ ოღლი
174. ხალვაში სეფერ ხასანის ძე
175. ბოლქვაძე იაკუბ ემინისძე

**დახვრეტის თარიღი 20/09/1937**

176. ახვლედიანი ისმაილ ალექსანდრეს ძე

**დახვრეტის თარიღი 29/09/1937**

177. ლორთქიფანიძე ზაქარია დურსუნის ძე
178. ქიქავა ჯემალ მაჰმუდის ძე
179. ლაღიძე გრიგოლ ერმოლაის ძე
180. რამიშვილი გიორგი ერასტის ძე
181. მეგრელიძე ილიას ისმაილის ძე
182. ბასილაძე ქიაზიმ ხასანის ძე
183. ბეჟანიძე სულეიმან იუსუპის ძე
184. რომანაძე ოსმან რეჯების ძე

**დახვრეტის თარიღი 29/10/1937**

185. პეტრიაშვილი ივანე ლუკას ძე
186. ბარათაშვილი აკაკი არჩილის ძე
187. კრუგი ივანე იაკობის ძე
188. პახომოვი გრიგოლ ვასილის ძე
189. ხახუდინი მიხაილ პეტრეს ძე
190. ტიუხი ივანე დიმიტრის ძე
191. ნოვოსელცევი გერასიმე სერგის ძე
192. გორდიევი ტიმოთე თედორეს ძე
193. კეიგელუხი ბორის სოლომონის ძე
194. კომახიძე არიფი სეფერის ძე
195. კანდელაკი ლავრენტი ტატევოსის ძე
196. ფერაძე თევდორე იაკობის ძე
197. ალეინიკოვი ალექსანდრე პეტრეს ძე
198. ქიქავა ფილიპე ანდრეას ძე
199. მიქელაძე ოსმან ეიუბის ძე
200. მიხაილენკო ვასილ დიმიტრის ძე
201. ვარშალამიძე (ვარშალომიძე) იუსუფ ხუსეინის ძე
202. წულუკიძე მემედ ხუსეინის ძე
203. შერვაშიძე ნური ასლანის ძე

**დახვრეტის თარიღი 29/10/1937**

204. ჯორბენაძე ილიასი სულეიმანის ძე
205. გოგიტიძე რიზა ალი ჰუსეინის ძე
206. ზოიძე თოფია ხეიალის ძე
207. გამყრელიძე ნური შაქირის ძე
208. ხიმშიაშვილი დემურალი სელიმოს ძე
209. წულუკიძე ალი სულეიმანის ძე
210. შავაძე მოლა ფაიკ შარიფის ძე
211. შავაძე (სალი ოღლი) შაი ეზიზის ძე
212. შერვაშიძე ჰუსეინ დურსუნის ძე
213. ღლონტი ბეკირ ახმედის (კუჩუკის) ძე
214. ცინცქილაძე (წინწკალაძე) ჰუსეინ ოსმანის ძე
215. ცინცქილაძე (წინწკალაძე) რეფეტი (რიდგეტი) ოსმანის ძე
216. ხოზრევანიძე ტაშტან ეზიზის ძე
217. ბეჟანიძე იბრაგიმ (ბექი) ჰასანის ძე
218. ჩიკვაიძე ჰუსეინ შაქირის ძე
219. შერვაშიძე მამედ ასლანის ძე
220. ავალიანი ტევფიკბეკი საფერის ძე
221. ავალიანი ისმაილ ბექ სეფერის ძე
222. მეგრელიძე შულეიმან ისმაილის ძე
223. ფროლოვი ვიქტორი ალექსის ძე
224. მარტიშევსკი რიჩარდ ვლადიმერის ძე
225. ქადაგიძე ჰასან ჰუსეინის ძე
226. კორნილოვი ვლადიმერ ალექსის ძე
227. კოკაია დომენტი პეტრეს ძე
228. ანთიძე ირაკლი გრიგოლის ძე
229. არველაძე კირილე იოსების ძე
230. მითაიშვილი ფოკა ივანეს ძე
231. ჭყონია რამიზ (რამაზი) კიზეტის ძე
232. ჟუბერი ედგარ ნიკოლოზის ძე
233. მეტაქსა ივანე დიმიტრის ძე
234. დარჩია პეტრენიჟა იოსების ძე
235. გოგიჩაიშვილი შილვესტრე ივანეს ძე
236. მეგრელიძე იუსუფ მამუდის ძე
237. გოგიტიძე ჰუსეინ იუსუფის ძე
238. ვასილევი ევგენი ვიტალის ძე

# „მე ჩემმა მოსწავლეებმა გამზარდეს“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

***ლიტერატურის სწავლება დიდ როლს ასრულებს მოზარდის სულიერ განვითარებაში და ამ პროცესში მასწავლებლის წვლილი რომ მნიშვნელოვანია, არაერთხელ გაცხადებულა, ამიტომაც გამორჩეული მასწავლებლების გამოცდილება საყურადღებო და გასათვალისწინებელია. ბათუმის №2 საჯარო სკოლის წამყვანმა მასწავლებელმა ნატო ურუშაძემ 45 წელი პედაგოგიური მუშაობის განმავლობაში სწავლების არაერთი საყურადღებო მეთოდი შემოქმედებითად განავითარა და წარმატებასაც მიაღწია. მისი აღზრდილების ცხოვრება და საქმიანობა ამას მოწმობს***

*კლასგარეშე მუშაობის რა ფორმებს იყენებს მოსწავლეთა ესთეტიკური და პიროვნული განვითარებისთვის, რას აკეთებს მათი მართლმეტყველების გაუმჯობესებისათვის? ეროვნული იდენტობის გასაცნობიერებლად? - ამ და სხვა კითხვებზე პასუხებით ქალბატონი ნატო თავის მდიდარ გამოცდილებას გვიზიარებს.*

**- ლიტერატურის საუკეთესო მასწავლებლად აღიარება სასიხარულოცაა და საპასუხისმგებლოც, როგორი იყო ეს გზა?**

- უპირველესად, დიდი მადლობა, თუ ასეთად (საუკეთესო მასწავლებლად) მხედავთ. რა თქმა უნდა, შენს შრომას შედეგი და აღიარება რომ მოჰყვება, დიდი სიხარულია, თუმცა, როგორც თავად ბრძანეთ, კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობაა. იცით, 45-ე სასწავლო წელი დავასრულე. საკმაოდ გრძელი გზა გავიარე, საინტერესო, მრავალფეროვანი. იყო აღმართიცა და დაღმართიც, იმედგაცრუებაც, წარმატებაც, მადლიერებაც, უმადურობაც... ვასწავლიდი სხვადასხვა სასწავლებელში, რუსულ სკოლაშიც კი მიმუშავია, ვყოფილვარ თანამდებობებზეც. იმის თქმა მინდა, რომ სხვადასხვა ასაკისა და ხასიათის ახალგაზრდებთან მქონია ურთიერთობა. დღეს თამამად შემიძლია ვთქვა: მე ჩემმა მოსწავლეებმა გამზარდეს.

**- ლიტერატურის სწავლება, როგორც სულის ფორმირების მთავარი საყრდენი და მასწავლებლის როლი ამ პროცესში, თავად როგორ ასწავლით?**

- დიახ, ლიტერატურა, მართლაც, მტკიცე საყრდენია ადამიანის სულის ფორმირებისათვის. ხშირად ვეუბნები ხოლმე ჩემს მოსწავლეებს, რომ ლიტერატურა ცხოვრებაა, ცხოვრების გამოწვევებს კი ღირსეულად, სულიერად ძლიერი ადამიანები უმკლავდებიან, ამიტომაც ვსაუბრობთ პერსონაჟების სულიერ მეტამორფოზაზე, ვაკვირდებით, როგორ გადალახავენ ისინი სირთულეებს. ლიტერატურა რეალობის უძლიერესი სტიმულატორია, მანქანა, რომელიც უსასრულოდ მეტის განცდის საშუალებას გაძლევს, ვიდრე რეალურ ცხოვრებაში შეძლებდი. მასწავლებელი, ვფიქრობ, სწორი მიმართულების მიმცემი უნდა იყოს. ხშირად კონკრეტული პრობლემის გადაჭრაშიც კი გვეხმარება ამა თუ იმ პერსონაჟის თავგადასავლის გააზრება. რამდენჯერ უთქვამთ, მარტო ლიტერატურას კი არა, ცხოვრებასაც გვასწავლითო. ამაზე უკეთესი შეფასება არსებობს?! გასულ სასწავლო წელს მეხუთე კლასში პრობლემა დამხვდა. პირდაპირი საუბარი შედეგს ვერ მოიტანდა, მაგრამ საგაკვეთილო ტექსტმა ყველა პრობლემას გასცა პასუხი და გაკვეთილის ბოლოს, როცა შევაჯამეთ მსჯელობა, თავად თქვეს, თურმე როგორ აჯობებდა პრობლემის გადაჭრა.

**- კლასგარეშე მუშაობის რა ფორმებსა და მეთოდებს მიმართავთ მოსწავლეთა ესთეტიკური და პიროვნული განვითარებისათვის?**

- გაკვეთილებზე მიღებული



ცოდნის შემოწმების კარგი შესაძლებლობაა კლასგარეშე მუშაობა. მაგალითად, წაკითხულ წიგნებზე პრეზენტაციები არაფორმალურ გარემოში - პარკში ან საჯარო ბიბლიოთეკაში, ხშირად მშობლების ჩართულობით, ასევე, შეხვედრა საინტერესო ადამიანებთან, მათი შემოქმედების შესახებ საუბარი. ერთობლივად სპექტაკლების ნახვა და მერე მსჯელობა... მაგალითად, მეათე კლასში, როცა „ვეფხისტყაოსანს“ ვსწავლობთ, ვავალებ ავთანდილის სამწლიანი მოგზაურობიდან ათი დღის ამსახველი დღიურის შექმნას. უნდა ნახოთ, როგორი ნამუშევრები იქმნება: ფაქტურა, ფორმა, სტილი, შინაარსი, ეპოქა - ყველაფერს ითვალისწინებენ. სხვა ჯგუფი ცოცხალ სურათებს დგამს...

***„წესების დაზეპირების წინააღმდეგი ვარ. ვფიქრობ, ნიმუში, მაგალითი მასწავლებელია, უპირველეს ყოვლისა, თუმცა სკოლის გარეთაც სჭირდება სწორი მეტყველების მოსმენა... ვცდილობთ სხვადასხვა აქტივობის გამოყენებას. მაგალითად, როლებში კითხვა, ზეპირად ამბის შეთხზვა, პერსონაჟისა თუ მეგობრის საუბრის შეფასება, მოულოდნელი ინტერვიუ, იმპროვიზაცია, უსულო საგნების ალაპარაკება...***

**- თქვენი მოსწავლეები ხშირად და წარმატებით მონაწილეობენ საჯარო ლიტერატურულ ღონისძიებებში. როგორ აღწევთ ასეთ შედეგებს?**

- გამიმართლა - ძალიან საინტერესო და კარგ ადამიანებთან შეხვედრა მარგუნა განგებამ. მოსწონთ, როცა დავალებად გარდასახვას ვთავაზობ. მაგალითად, გასულ სასწავლო წელს შეხვედრა მოვუწყვეთ ჩვენს თანაქალაქელ პოეტს, ქალბატონ გენრიეტა ქუთათელაძეს. დიდი ენთუზიაზმით მოემზადნენ ამ დღისთვის და ლამაზი ღონისძიება ჩავატარეთ საჯარო ბიბლიოთეკაში. გამოსაცემად გამზადებული წიგნი „რეკვიემი დევნილთათვის“ წარვადგინეთ. უფრო ადრე გალაკტიონის დაბადების თარიღი აღვნიშნეთ. მეთორმეტეკლასელებმა ისაუბრეს პოეტის შესახებ, წაიკითხეს ლექსები. ლიტერატურით დაინტერესებულთათვის ჩამოვაყალიბე სასკოლო ლიტერატურული კლუბი „მეტამორფოზა“. საინტერესო გეგმები გვაქვს. სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ეზოში ლიტერატურული ფესტივალი ჩავატარეთ მეთერთმეტეკლასელების მონაწილეობით. აკაკი წერეთლისა და ალექსანდრე ყაზბეგის საპროგრამო ნაწარმოებების კოსტიუმირებულ წარმოდგენას გულგრილი არავინ დაუტოვებია. საშემოდგომო ფესტივალი წინაა. წარმატების მიზეზი მონდომება და კოლექტიური თანადგომაა. იდეა ბევრი შეიძლება გაჩნდეს, მთავარია, მხარდამჭერი (ამ შემთხვევაში ჩემი სკოლის დირექცია, პედაგოგები და მშობლები) გყავდეს.

**- ეროვნული ცნობიერების განვითარება და ლიტერატურა, თქვენი შეხედულება და მუშაობა ამ მიმართულებით?**

- ლიტერატურა ყოველთვის ასრულებდა უდიდეს როლს ეროვნული ცნობიერების ამაღლებაში. დელფოსის სამისნოს კედელზე ამოკვეთილი წარწერა „შეიცან თავი შენი“ ადამიანს საკუთარი შესაძლებლობებისა და მოვალეობის გაცნობიერებისკენ მოუწოდებდა. გურამიშვილის „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს საცნობლად თავისადაო“... იმავეს გვეუბნება. ჩვენი ლიტერატურა ყოველთვის ასახავდა და ასახავს იმ უმთავრეს ღირებულებებს, რომელთათვისაც იბრძოდა და ცხოვრობდა ქართველი. იაკობ ცურტაველის „შუშანიკის წამებიდან“ დაწყებული, ნ. ხარატიშვილის „მერვე სიცოცხლით“ დამთავრებული, ყველგან ქართული სულის მდუღარება და ტკივილია გადმოცემული. როგორ შეიძლება მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“ ან ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“ წაიკითხო და ეროვნული ცნობიერების მტკივნეულ საკითხს არ შეეხო.

**- ნიჭი სიყვარულის გარეშე არაფერია, ლიტერატურა, როგორც ამ პოსტულატის გაცნობიერების საუკეთესო გზა...**

- შოთა ნიშნიანიძე ამბობს: „თურმე მიჩვევა ყველაზე დიდი, ყველაზე სანდო სიყვარულია“. დიახ, სიყვარული ყველაფერია, ამიტომ ვცდილობთ, თამაშ-თამაშით შევაყვაროთ ბავშვს წიგნი, როგორც საშუალება ოცნების საქანელათი ტკბობისა, როგორც ცხოვრების მეგზური. ჩვენს ეპოქაში, როცა ინტერნეტშია თავჩარგული დიდ-პატარა, არცთუ ისე მარტივია, წიგნი გამოაცხადო პრიორიტეტად. ამ საქმეში, დასაწყისში მაინც, ძალიან მნიშვნელოვანია მშობლის აქტივობა და მხარდაჭერა. ეს მომენტი აადვილებს მიზნისკენ სვლას. სახელმძღვანელოს ავტორებიც იძლევიან ამ საკითხზე მსჯელობის საშუალებას. მაგალითად, მეშვიდე კლასში გვაქვს მთელი თავი სათაურით: „წიგნი თუ კომპიუტერი“. დიდი დებატი იმართება ხოლმე. უფრო ხშირად თანხმდებიან, რომ ორივე ძალიან მნიშვნელოვანია. ეს დასკვნა, ვფიქრობ, ბევრს ნიშნავს სამომავლო ნაბიჯებისათვის.

**- „გულის სისავსებრ მეტყველებს პირი“... თქვენ რა გზით ცდილობთ მოსწავლეების მართლმეტყველების გაუმჯობესებას?**

- დღეს სწორად მეტყველება დიდ პრობლემად გვექცა. წამდაუწუმ იცვლება მართლწერა, შემოდის და, სამწუხაროდ, მკვიდრდება ბარბარიზმები, ყველას მეტყველებაზე კი რატომღაც მასწავლებელს სთხოვენ პასუხს. არა, მასწავლებლის როლს კი არ უარვყოფ, უბრალოდ, „მარტო წვრთნა რას უზამს“... გარემო, სადაც მოსწავლე ატარებს დიდ დროს - ოჯახი, ქუჩა, ეზო, სკოლა, უდიდეს ზეგავლენას ახდენს მასზე. ბევრი შრომა გვჭირდება. წესების დაზეპირების წინააღმდეგი ვარ. ვფიქრობ, ნიმუში, მაგალითი მასწავლებელია, უპირველეს ყოვლისა, თუმცა სკოლის გარეთაც სჭირდება სწორი მეტყველების მოსმენა... ვცდილობთ სხვადასხვა აქტივობის გამოყენებას. მაგალითად, როლებში კითხვა, ზეპირად ამბის შეთხზვა, პერსონაჟისა თუ მეგობრის საუბრის შეფასება, მოულოდნელი ინტერვიუ, იმპროვიზაცია, უსულო საგნების ალაპარაკება...

**- მოსწავლის პიროვნული გაძლიერება რამდენად აქცენტირებულია სწავლებისას და რას აკეთებთ შედეგის მისაღწევად?**

- სასწავლო პროცესის უმთავრესი პერსონა მოსწავლეა. ლიტერატურა ფართო ასპარეზს ქმნის მისი პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის. მრავალფეროვანი აქტივობები გვაქვს ამ საქმეში დამხმარედ, მაგალითად, პერსონაჟის ტყავში შეძრომა, მთავარი გმირის საქციელის სხვადასხვა რაკურსიდან შეფასება, ნაწარმოებში თანაავტორად შესვლა და, მოსწავლის აზრით, „ცარიელი ადგილების“ შევსება დამატებითი მომენტებით. სასწავლო წლის ბოლოს მეექვსე კლასში მქონდა პროექტი „ვკითხულობ მეგობრისთვის“. წიგნს კითხულობდნენ, ინიშნავდნენ საინტერესო ადგილებს ფერადი სანიშნეებით (სტიკერებით), ერთმანეთს უტოვებდნენ შეკითხვებს, ყურადღებას ამახვილებინებდნენ ამა თუ იმ მომენტზე. ხუთი წიგნი წაიკითხეს ამ ხერხით ორ თვეში. უნდა გენახათ, პრეზენტაციებზე როგორი თავდაჯერებით საუბრობდნენ, კამათობდნენ, დასკვნებს აკეთებდნენ.

**- თანამედროვე სწავლების მეთოდებიდან უპირატესობას რას ანიჭებთ და იყენებთ საგაკვეთილო თუ კლასგარეშე მუშაობისას?**

- დღეს უამრავი მეთოდია შემოთავაზებული. ურთიერთთანამშრომლობა ყველაზე მნიშვნელოვნად მიმაჩნია. ძალიან მომწონს ხმამაღალი ფიქრის მეთოდი, როცა ტექსტში შემოთავაზებულ საკითხთან დაკავშირებით უამრავი ქვესაკითხი ამოტივტივდება ხოლმე და საოცარი გადაკვეთის წერტილები ჩნდება. მოსწავლე ამგვარად ახერხებს წინარე ცოდნის (ხშირად - სხვადასხვა საგნის გაკვეთილზე მიღებულის) აქტივირებას და ახალი შეკითხვებიც იბადება. კარგ შედეგებზე გავყავართ მრგვალ მაგიდასთან დებატებს. მომენტალურად გადაეწყობიან ხოლმე. სწავლობენ კამათის კულტურას. რაც მთავარია, თუ ტექსტი კარგად არ გაითავისეს, ვერ შეძლებენ ხარისხიანი წინააღმდეგობის გაწევას. მაღალ კლასებში საინტერესოა რეცენზიების წერა მეგობრის ნაშრომზე, ტექსტის გარკვეული ნაწილების ინსცენირებაც მოსწონთ.

**- ძირითადად, რა ლიტერატურას ურჩევთ თქვენს მოსწავლეებს კლასგარეშე წასაკითხად? რომელ მწერლებს ეცნობიან ისინი ინტერესით? ვინ მიგაჩნიათ „სულის ინჟინრებად“?**

- ასაკს აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა. ვიწყებთ მარტივიდან რთულისკენ. აი, ისე, როგორც დოჩანაშვილის ვასილ კეჟერაძე ცდილობს, წიგნის მნიშვნელობა აუხსნას „მისალოცებს“. ასტრიდ ლინდგრენის მოთხრობებით ვიწყებთ. წელს ბაზარზე შემოვიდა დევიდ უოლიამსის რამდენიმე საბავშვო ბესტსელერი. სიხარულით წაიკითხეს მეხუთე-მეექვსეკლასელებმა. მეშვიდეკლასელებს ჰარი პოტერის ამბები აინტერესებთ, მერვედან დეტექტივიც შემოდის... ვცდილობ, ისწავლონ წაკითხულის დაკავშირება ნანახთან. მაგალითად, კომპლექსური დავალების ფარგლებში წავიკითხეთ ნოდარ დუმბაძის „ძაღლი“, ჯეკ ლონდონის „წინაპართა ძახილი“ და ვნახეთ ფილმები „ჰაჩიკო“ და „ლომა - ერთგული მეგობარი“. პრეზენტაციაზე ემოციების ზღვა დატრიალდა საკლასო ოთახში... ჩემი აზრით, ყველა ავტორი და წიგნი, რომლებიც დააფიქრებენ მოსწავლეს, გაახარებენ, სიკეთის გასაკეთებლად წააქეზებენ, „სულის ინჟინრად“ შეიძლება ჩავთვალოთ.

**- პუბლიცისტიკა ეროვნული იდენტობის, პიროვნების კოგნიტური და სხვა უნარების განვითარების წყაროა - იზიარებთ ამ აზრს? ვის პუბლიცისტიკას ასწავლით და კიდევ ვისია სასურველი?**

- გეთანხმებით, პუბლიცისტიკა ნამდვილად უმნიშვნელოვანესია კოგნიტური უნარების განვითარებისთვის და, საერთოდ, ტექსტზე მსჯელობისას ძალიან საინტერესოა, იცოდე, რას ფიქრობენ ამა თუ იმ საკითხზე პროფესიონალები. ჩვენი სახელმძღვანელოებიც ითვალისწინებს მათი ნააზრევის გაცნობას. ხშირად ვიყენებ აკაკი ბაქრაძის, დავით წერედიანის, გია მურღულიას, მაია ჯალიაშვილის, გურამ ასათიანის, ოთარ, თამაზ ჭილაძეებისა და სხვათა საინტერესო წერილებს.

**- თქვენს აღზრდილთაგან ცხოვრების ასპარეზზე თავიანთი საქმეებით გამორჩეულებად ვის დაასახელებთ? ამჟამინდელი მოსწავლეებისგანაც ვის გამოარჩევთ? ვინ არიან ისინი, ლიტერატურის სიყვარული რომ გაითავისეს?**

- ყველაზე თბილი შეკითხვაა. საბედნიეროდ, ბევრია ასეთი. მაპატიონ, თუ ყველას ვერ ჩამოვთვლი. დავასახელებ რამდენიმეს: ნინო ინაიშვილი ქართული ენისა და ლიტერატურის წარმატებული მასწავლებელია, ირინე კომახიძე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში კითხულობს ლექციებს, თამარ ტაბიძემ წელს დაამთავრა ჯავახიშვილის ფილოლოგიის ფაკულტეტი, ანა ნაგერვაძე აჭარის ტელევიზიის „დილის ტალღის“ ჟურნალისტი იყო და ახლა იმავე გადაცემაში ანა ჟოჟაძეს ვხედავთ, ზურა ნემსაძემ სდასუს ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დაასრულა... სასიხარულოდ და საიმედოდ, ბევრნი არიან: ექიმები, ფინანსისტები, სამართალმცოდნეები, მეზღვაურები... ახლა მეთორმეტეკლასელები მყავს, რომლებიც ბევრს კითხულობენ: ნატალია, ლიზი, ელენე, ქეთო, თიკო, მარი... კითხულობენ პატარებიც. აწარმოებენ ლიტერატურულ დღიურს, სადაც ინიშნავენ წაკითხული წიგნის შესახებ, რომ მერე წარადგინონ თანაკლასელების წინაშე.

**- წიგნი, რომელიც სასურველია, თითოეული მოსწავლის სამაგიდო წიგნად იქცეს (თუნდაც ელსივრცეში)?**

- რთულია ასეთის დასახელება. მახსოვს, აღფრთოვანებულმა მეხუთეკლასელმა მითხრა, „გულივერის მოგზაურობაზე“ უკეთესი ჯერ არაფერი წამიკითხავსო და მადლობაც გადამიხადა ამ წიგნის შეთავაზებისთვის. ასეთივე კმაყოფილება გამოთქვა მეორემ სულაკაურის „სალამურას თავგადასავალთან“ დაკავშირებით. უფროსკლასელებს მოსწონთ აკა მორჩილაძე, დათო ტურაშვილი, ანა კორძაია-სამადაშვილი, ჯერომ სელინჯერი, სტივენ კინგი, ჯორჯ ორუელი... ანუ ყოველ ასაკს თავისი წიგნი აქვს. ჩემთვის მთავარია, იკითხონ. გემოვნება თანდათან ჩამოყალიბდება.

**- თქვენ რომ განათლების მინისტრი იყოთ... პირველი პრობლემა, რომელსაც მოაგვარებდით?**

- განათლების მინისტრი რომ ვიყო, მასწავლებელს ღირსეულ ანაზღაურებას მივცემდი, გავათავისუფლებდი ამდენი ქაღალდომანიისაგან, რათა მეტი დრო ჰქონდეს მოსწავლისა და გაკვეთილისთვის.

**- პრობლემა, რომელიც განსაკუთრებულად გაღელვებთ და გაფიქრებთ.**

- ძალიან მეფიქრება მომავალი. მინდა ღირსეულ ქვეყანაში იცხოვრონ ახალგაზრდებმა. ისინი ისეთი ლაღები, ჭკვიანები, მოაზროვნეები, მიზანმიმართულები არიან, ყველაფერს საუკეთესოს იმსახურებენ. მჯერა, უეჭველად შეძლებენ უკეთესი ქვეყნის აშენებას, რამეთუ კარგად იციან, „ვისი გორისანი არიან!“.

# რენა სარიშვილი



## რომანტიკული ბუნებისა და უფაქიზესი სულის დიდებული ქალბატონი

ყოველდღე რეკავს გლოვის ზარები, ამ ბოლო დროს რამდენიმე ღირსეული ადამიანი გავაცილეთ სასუფეველში, მაგრამ შენ სულ სხვა ხარ - გამორჩეული, განსაკუთრებული, ქვეყნის მაჯისცემას მორგებული საქმიანობით. გაჭირვების ჟამსაც კი იმედით აღსავსე, სიკეთის, სიყვარულისა და მეგობრობის უბადლო მოძღვარი. შენ სულ სხვა პეწი გაქვს და სხვა მადლი. სიყვარულითა და სიკეთით ნაშენები შენი ოჯახი სამაგალითო იყო, არის და იქნება სანათესაოსათვის, მეგობრებისათვის. რენა სარიშვილმა პირნათლად აღასრულა თავისი მოქალაქეობრივი ვალი სამშობლოსა და მეგობრების წინაშე. რაც მეტი დრო გავა, უფრო ნათლად გამოჩნდება მის მიერ გაწეული ღვაწლი. ის იყო აჭარის ახალგაზრდობის ღირსეული წინამძღოლი, ხელვაჩაურის რაიკომის პირველი მდივნის მოვალეობის უბადლო შემსრულებელი. მან გამორჩეული მიდგომებით, რეგიონის სასაზღვრო პირობებში მოსახლეობის თანადგომით, წყალგაღმა დარჩენილ სარფთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებისთვის გაწეული თანმიმდევრული საქმიანობით, ასევე, აჭარის შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრად მუშაობის პერიოდში უდიდესი დახმარება გაუწია აჭარის მოსახლეობას. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს მისი მოღვაწეობა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბათუმის წარმომადგენლობაში.

რენა სარიშვილის საქმიანობა არის მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა იღვაწო, რომ კვალი ნათელი დატოვო. ამასთან, მას ჰყავდა სანიმუშო, ყველასგან გამორჩეული ქართული ოჯახი - მეუღლე შამილ აბაშიძესთან ერთად, გამორჩეული შვილები ზვიად და ზუზა აბაშიძეები აღზარდა.

რენა სარიშვილი წლების განმავლობაში იყო აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი, დააარსა აჭარის ბავშვთა ფონდი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველი ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციის სოროპტიმისტ ინტერნაციონალის კლუბის „ბათუმი" დაფუძნება. გაწეული საქმიანობისთვის მას მიენიჭა ევროპის გამორჩეულ ქალთა შორის წარჩინებულის სტატუსი.

რენა სარიშვილი აქტიურად მონაწილეობდა სახალხო მოძრაობა „ქართულ-აფხაზური საგას" საქმიანობაში. თვითონ დედით აფხაზი იყო და არაერთი სტატია და ლექსი მიუძღვნა დედულეთს - აფხაზეთს, სწამდა, რომ საქართველოს გამთლიანება გარდაუვალი იყო. ცხოვრების ბოლო პერიოდში პატარებისთვისაც გამოსცა ლექსების კრებული.

რენა სარიშვილის მიერ განვლილი ცხოვრების გზა გვაძლევს უფლებას, რომ მასზე წარსულში კი არა, აწმყოში ვისაუბროთ. მან კარგად იცოდა, რომ თანამდებობა გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი შესაძლებლობების ხარჯვაა და, ამასთან, ავტორიტეტიც, რომელსაც მოპოვება და გაფრთხილება სჭირდება.

სამშობლომ არაერთხელ დააფასა რენა სარიშვილის ღვაწლი. განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ „ღირსების ორდენი" და „საპატიო ბათუმელის" ტიტული, რომლითაც ის დიდად ამაყობდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რენა სარიშვილი ცხოვრების შუა გზაზე ეზიარა მართლმადიდებლურ სარწმუნოებას, მისი ნათლია კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გახლდათ.

რენა სარიშვილი მეგობრებისთვის ღირსების, სიდარბაისლის, სიბრძნისა და განუზომელი სიკეთის განსახიერებაა. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასუფეველში მიემართება ღირსეული ქართველი ქალბატონი, რომელმაც ღირსეულად აღასრულა თავისი ვალი სამშობლოს, ოჯახისა და მეგობრების წინაშე.

**საქართველოს ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია,**

**სოროპტიმისტ ინტერნაციონალის კლუბი „ბათუმი"**

აჭარის და სრულიად საქართველოს ქალთა საკრებულოში ქალბატონმა რენა სარიშვილმა უდავოდ გამორჩეული ადგილი დაიმკვიდრა.

რენა მუსტაფას ასული სარიშვილი ის პიროვნება გახლდათ, რომელმაც ნათელი, საჩინო კვალი დატოვა წუთისოფელში და მარგალიტივით ბრწყინავს ვალმოხდილ მამულიშვილთა გალერეაში.

გზა მაღალი საზოგადოებისაკენ, უანგაროდ, თავად გაიკვლია. იყო კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, საქართველოს კომპარტიის ხელვაჩაურის რაიკომის პირველი, ხოლო შემდეგ აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი, აჭარის მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის მინისტრი, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბათუმის წარმომადგენლის მოადგილე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბავშვო ფონდის თავმჯდომარე, ასევე - აჭარის უმაღლესი საბჭოს სამი მოწვევის (მე-7, მე-8, მე-9) და ბათუმის ქალაქის საბჭოს დეპუტატი, კომკავშირის საკავშირო ყრილობის ორგზის დელეგატი - მოსკოვში და საქართველოს კომკავშირის დელეგატი - თბილისში.

1994 წლის 20 დეკემბრიდან რენა სარიშვილი საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ბათუმის წარმომადგენლობაში, წარმომადგენლის მოადგილეა.

მას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 1999 წლის 8 ივლისის №253/2 ბრძანებით, მინიჭებული აქვს უფროსი მრჩევლის დიპლომატიური რანგი.

დიდი წვლილი აქვს ბათუმის გორაზე არსებული ახალგაზრდობის გართობისა და დასასვენებელი სახლის («სპუტნიკი») დაარსებაში.

1992 წლიდან ბათუმში არსებობს «სოროპტიმისტ - ინტერნაციონალის» საერთაშორისო კლუბი, რომლის დაარსებაშიც რენა სარიშვილს თავისი წვლილი აქვს შეტანილი.

რომანტიკული ბუნებისა და უფაქიზესი სულის ქალბატონს კალამიც აუღია ხელში და სიტყვებიც ჩუქურთმებად უქცევია. ამის დასტურია პოეტი-ქალბატონის ლექსები და «ბებოს ზღაპრები».

რენა სარიშვილი ოთხგზის ორდენოსანია (1966, 1971, 1973, 1993 წწ).

ახალგაზრდების აღზრდის საქმეში დიდი დამსახურებისა და აქტიური საქველმოქმედო მუშაობისათვის მიღებული აქვს აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემიები.

საქართველოს ქალთა რესპუბლიკური და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ქალთა საბჭოების მიერ დაჯილდოებულია სიგელებით.

წლების განმავლობაში, როცა ქალბატონ რენასთან ვმუშაობდი, იგი ხელმძღვანელობდა ბავშვთა ფონდს, ვიყავი მოადგილე და მისგან ბევრი რამ ვისწავლე როგორც პროფესიულ სფეროში, ასევე ადამიანურ ურთიერთობაში.

რენა სარიშვილი კარგად იცნობდა ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკის სოფლებს, ყოველ დასახლებულ პუნქტს, ოჯახს... მრავალი ადამიანის ბედი გადაუწყვეტია - გასაჭირში ხელი შეუშველებია. ამ დიდებული ქალბატონის პირად არქივში დაცულია ამის ამსახველი უნიკალური ფოტოები, მადლობის წერილები, რომელთა შესწავლა უახლოესი ისტორიისთვის საშური საქმეა.

ოჯახი, შთამომავლობა, მშობლიური ქალაქი და სრულიად აჭარა მოწიწებით შეინახავს რენა სარიშვილის ხსოვნას.

**აჭარის ქალთა დარბაზის სახელით,**
**მაყვალა რომანაძე**

## ღირსეულ და გამორჩეულ ადამიანს

დრო სწრაფად მიდის, არავის შეუძლია მისი გაჩერება, მაგრამ ადამიანი თავის ისტორიას თავისივე საქმიანობით წერს ისე, როგორც ეს ქალბატონი რენა სარიშვილის ცხოვრებაში მოხდა. მეამაყება, რომ საკმაოდ დიდი დრო მაქვს მასთან ერთად გატარებული. ის ჩემთვის მუდამ იყო, არის და იქნება მაგალითი იმისა, თუ როგორი უნდა იყოს ქართველი ქალი.

ჩვენი ურთიერთობა ახალგაზრდულ ორგანიზაციაში მუშაობით დაიწყო, შემდეგ კი პარტიულ სამუშაოზეც გაგრძელდა. მასთან პირველმა შეხვედრამ დამანახა ლამაზი, წარმატებული, გამოცდილი, ყურადღებიანი და ღირსეული ქალბატონის სახე, რომელიც არასოდეს დამავიწყდება.

ქალბატონი რენა ჩემი ხელმძღვანელიც იყო და, ამასთანავე, მეგობარიც. ის ყოველთვის გვერდით მედგა ჩემთვის მნიშვნელოვანი საკითხების გადაწყვეტისას. დამრიგებელიც იყო და ფარიც. მან შექმნა შესანიშნავი ოჯახი შამილ აბაშიძესთან და ორი ვაჟკაცი გაუზარდეს ქვეყანას. მისი ოჯახი თითოეული ჩვენგანისათვის სამაგალითო იყო, არის და იქნება.

ქალბატონ რენას უყვარდა ყველა მეგობარი, თანამშრომელი, მეზობელი. მისი ცხოვრება შინაგანად ყოველთვის დაკავშირებული იყო საქართველოსთან, მის საყვარელ კუთხესთან - აჭარასთან. ის ყოველთვის გახლდათ ჩვენი რაიონის ტრადიციული ღონისძიებების - ადრე „შრომის ზეიმისა" და შემდგომ „ქედელობის" უშუალო მონაწილე.

რენა სარიშვილის სახით, იმიერში ვაცილებთ ღირსეულ, ძლიერ მეგობარს, საზოგადო მოღვაწეს, დედას, მეუღლეს, რომელიც ხვალ თითოეულ ჩვენგანს დააკლდება, თუმცა მუდამ ჩვენთან დარჩება ამ დიდი ქართველი ქალბატონის ხატება.

**დარია თურმანიძე**

## მარადისობა ცად ისხამს იმედს...

ბედისმწერალმა, სულის სიმდიდრე
გიბოძა, ვამბობ ამას გარკვევით;
შენ, მადლის წიგნის ოქროვან მარცვლებს
იზეპირებდი, როგორც გაკვეთილს.
იმ სიქათქათეს, შენი ჰერისა,
მეტაფორისთვის ნიადაგ ვეძებ...
იდგა უფალი აკვანთან, გვერდით,
და ობლის კვერი ცხვებოდა მზეზე.
და როგორც ლამაზ ზღაპრებში ხდება,
როგორც შეშვენის ზეციურ პრინციპს,
ბედნიერების გზაგასაყართან
გამოჩნდა ერთი ზღაპრული პრინციც...
ოქრო-სირმებით ნაქარგ ბუდეში,
ორჯერ გეწვიათ ოქროს რთველობა
და ბოკვერების სისხლში აღზევდა,
აბაშიძეთა დიდქართველობა.
კი არ მიდიხარ, ოცნების ფრთებით,
იპყრობ სამოთხის ზეციურ აღმართს.
გადაიქროლა მეეტლემ მთები,
შენს საუფლოსთან შრიალებს დაფნა.
მიდიხარ, ცრემლი გაგიკვლევს აღმართს,
ყველაზე წმინდა, ყველაზე მძიმეც...
აქ არვინაა მარადიული,
მარადისობა ცად ისხამს იმედს.

**ცისანა ანთაძე**

## რენა სარიშვილის ნათელ ხსოვნას

მძიმეა, წარსულში მოიხსენიო პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ქალბატონი რენა სარიშვილი და მისი განვლილი გზა, უბრალოდ, აღწერო. დიდი, ღირსეული წარსულის მქონე ადამიანი - ასეთად დარჩება ჩემს მეხსიერებაში. უფროსი მეგობარი, კოლეგა, არაერთი თაობის გამზრდელი მუდამ მყარად იდგა საქართველოს, ჩვენი კუთხის მომავლის სადარაჯოზე. ხიბლი, კეთილშობილება, ტაქტი, სისადავე, უბრალოება - მისი ეს თვისებები ხელს უწყობდა იმ ორგანიზაციების წარმატებით გაძღოლაში, სადაც მუშაობდა. მახსენდება - მასთან ურთიერთობის დროს, როცა ზედმეტად მიაჩნდა ჩემი თავმდაბლობის ხარისხი, ღიმილით და ხალისიანად მამხნევებდა. პატივს მივაგებ ქალბატონ რენა სარიშვილს, მოგონებებით, მისი ღვაწლით გალამაზებულ განვლილ გზას.

**რუსუდან ფაღავა**

## გემშვიდობებით...

უდიდესი მწუხარება, გაუსაძლისი ტკივილია ქალბატონი რენას ამქვეყნიდან მარადისობაში გადასვლა მისი მეუღლის, ბატონი შამილის, საყვარელი შვილების ოჯახებისთვის, ნათესავებისა და მეგობრებისთვის, თითოეული ჩვენგანისთვის...

ქალბატონი რენა ჩვენი თაობისთვის აღიარებული ლიდერი გახლდათ, მას განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ავტონომიური რესპუბლიკის განვითარებაში. წლების განმავლობაში მუდმივად ვგრძნობდით უაღრესად კეთილი, ღირსებით სავსე ქალბატონი რენას, როგორც ხელმძღვანელისა და მეგობრის, მხარდაჭერას, გვერდით დგომას, გულისხმიერ დამოკიდებულებას.

არასოდეს დაგავიწყდებით, ჩვენო კეთილო, გამორჩეულო, ძვირფასო, ქალბატონო რენა. უფალმა ნათელში ამყოფოს თქვენი ლამაზი, სპეტაკი სული.

**შოთა მესხიძე**

## დიდი წინაპრები ზეციურ საქართველოში მადლობას გეტყვიან

საზოგადოება თავის რჩეულ ქალბატონს - რენა სარიშვილს ეთხოვება, პიროვნებას, რომელმაც თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ჩვენი კუთხე ბრწყინვალედ წარმოაჩინა ქვეყნის სარბიელზე. მას ანდობდნენ უმაღლეს თანამდებობებს, ხალხის ბედს. ყველგან, სადაც იღვაწა, დიდი ქალბატონის, მაღალი რანგის ხელმძღვანელის სახელი დაიმკვიდრა. მისი განვლილი გზა თაობებისათვის მაგალითად იქცა. ის უყვარდათ, პატივს მიაგებდნენ, ეიმედებოდათ. სწორედ მისი ქვეყნისადმი მსახურება და პიროვნული თვისებები გახდა გზამკვლევი ბევრი ახალგაზრდა ქალისათვის ხელმძღვანელ თანამდებობაზე წარსადგენად.

განსაკუთრებულია მისი დამსახურება ქალთა მოძრაობის განვითარებაში, აჭარის მძიმე წარსულის შედეგად დაკნინებული ქალთა უფლებების დაცვასა და მათი საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოყვანაში. ქალბატონი რენას მიერ განვლილი გზა სამაგალითოდ დიდხანს ეყოფა მომავალ თაობებს.

მადლობა, ქალბატონო რენა, დიდი, თბილი, მოსიყვარულე გულისთვის, მხარდაჭერისთვის, მოფერებისთვის, დედობრივი ზრუნვისა და, რა თქმა უნდა, თქვენი განუმეორებელი თამადობისთვის.

ჩვენი დიდი წინაპრები მოგელიან ზეციურ საქართველოში, მადლობას გეტყვიან ამ წუთისოფელში გაწეული ღვაწლისთვის. უფალმა დაგიმკვიდროთ ცათა სასუფეველი.

**გულნარა ბასილაძე**

## იქნებ დღეს სამყაროც გლოვობს

ქალბატონო რენა!

ხულოს მწვანე მთებმაც ჩაიცვეს შავი, როცა გაიგეს, რომ ჩვენი მრავალჭირგადანახადი კუთხის ამაგდარის, დიდბუნოვანი, კეთილშობილი, სათნო, კაცთმოყვარე, ღვაწლმოსილ ქალბატონ რენა სარიშვილის სულმა დატოვა მიწიერი სამყარო და ზეციურ საქართველოში გადაინაცვლა. საბას წიგნში ვერ

იხ. მე-7 გვ.

# ფილმი და წიგნი – მსოფლიო მოგზაურზე

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**

*ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში დოკუმენტური ფილმის „ველოსიპედით მთვარემდე“ და წიგნის - „მოგზაურის ჩანაწერების“ პრეზენტაცია გაიმართა*

მსოფლიო მოგზაურის, გინესის რეკოდსმენის, სპორტსმენ ჯუმბერ ლეჟავას ავტობიოგრაფიული წიგნი „მოგზაურის ჩანაწერები“, იმ ჩანაწერებზე დაყრდნობით გამოიცა, რომელსაც ის მოგზაურობის დროს ყოველდღიურად აწარმოებდა, პარალელურად ვიდეოსაც იღებდა და გადაღებას მხოლოდ ფირის უქონლობის ან კამერის გაფუჭების გამო წყვეტდა.

სწორედ ვიდეოებზე დაყრდნობით შეიქმნა დოკუმენტური ფილმი, რომელიც სულ 300 საათის ჩანაწერს მოიცავს, მისი დიდი ნაწილი კი დაიკარგა. კინოსტუდია „ქართულმა ფილმმა“ (რეჟისორი - გიორგი ხარებავა) ეს ჩანაწერები საათნახევრამდე დაიყვანა და შექმნა ფილმი - „ველოსიპედით მთვარემდე“. წიგნში ძალიან საინტერესოდაა გადმოცემული მოგზაურის ბიოგრაფია, რომელსაც დასაწყისში თავად ჰყვება. ამ ფილმზე მუშაობა მისივე სიცოცხლეში დაიწყო.

როგორც წიგნის ერთ-ერთმა რედაქტორმა - ჯუმბერ ლეჟავას




შვილიშვილმა გიორგი ჭანტურიამ აღნიშნა, წიგნში ბევრი საინტერესო ინფორმაცია ვერ მოხვდა, რადგან რედაქტორებს ერთ გამოცემაში სურდათ ყველაფრის თავმოყრა. მან გვიჩვენა მოგზაურის ხელნაწერები, სადაც ხიფათებით სავსე მოგზაურობას დეტალურად აღწერდა, გვიამბო, როგორ ინახავდა მათ, ხან აგზავნიდა, ხანაც მის მეგობრებს ჩამოჰქონდათ საქართველოში. საბოლოოდ 7 ათასი ხელნაწერი გვერდი შეგროვდა (ბევრი დაიკარგა), რომლის გარკვეული ნაწილი „ვორდში“ გადატანილი და დამუშავებულიც კი ჰქონდა, თუმცა საკმაოდ დიდი ნაწილი დასაბეჭდად (აიწყო, გაციფრულდა) მერე მომზადდა.

წიგნში ასახულია მოგზაურის ცხოვრების გარკვეული პერიოდი, დაწყებული ბავშვობის წლებიდან და ველოსიპედით მსოფლიო მოგზაურობით დამთავრებული. ჯუმბერ ლეჟავა დეტალურად აღწერს მისი მოგზაურობის თითოეულ დღეს, რადგანაც მაშინდელ პერიოდში ინტერნეტი ხელმისაწვდომი არ იყო.

ჯუმბერ ლეჟავამ მოგზაურობა 54 წლის ასაკში დაიწყო, 9 წლის (3333 დღის) განმავლობაში 238 ქვეყანა მოიარა. ორჯერ იმყოფებოდა ანტარქტიდაზე. გადაიღო 50000 ფოტოკადრი და 300-ზე მეტი ვიდეოფირი. ამ ხნის განმავლობაში „უამრავჯერ დაატყდა თავს სტიქიური უბედურება.... ექვსჯერ მოხვდა საავადმყოფოში. გობის უდაბნოში, გაყინული, სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს, შემთხვევით იპოვეს მწყემსებმა, იურტაში შეიფარეს და გაათბეს. სტოკჰოლმში ჩასული მოყინული ქვედა კიდურების მოკვეთას მხოლოდ საკუთარი გამძლეობის წყალობით გადაურჩა“, - ვკითხულობთ წიგნში, რომელიც სწორედ მის ჩანაწერებს ეფუძნება და მისი გამოცემა მოგზაურობის 30-ე წლისთავს მიეძღვნა.

ფილმი სამ ნაწილს მოიცავს - ბავშვობა, ახალგაზრდობა, რეკორდების პერიოდი (ის გინესის რეკორდების წიგნში რამდენჯერმეა შესული).

მსოფლიო მოგზაურობამდე მან ფეხით მოიარა მთელი საქართველო, ხელით შეეხო თითქმის ყველა ისტორიულ ძეგლს: „საბჭოთა კავშირის რესპუბლიკები მოტოციკლითა და მანქანით მოვიარე, კუთხე არ დამიტოვებია. მოგზაურობა ყოველთვის მიყვარდა. მერე მსოფლიო მოვიარე ველოსიპედით და ამ მოგზაურობის დროსაც საქართველოზე ვფიქრობდი“, - წერს ეს საოცარი ადამიანი, რომლის მოგზაურობა სამუდამოდ დარჩება არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიო მოგზაურობების ისტორიაში.

*P.S. მე ამ მოგზაურობის 1993 წელს დაწყების (სარფიდან საქართველოს დატოვების დროს გავაცილეთ) და მისი დასრულების უშუალო მოწმე ვარ - 2002 წლის 3 ნოემბერს მე და ჩემი შვილი დათო მას, სხვებთან ერთად, „წითელ ხიდზე“ დავხვდით.*



## უკრაინა

უკრაინის შეიარაღებული ძალების აღმოსავლეთის დაჯგუფების წარმომადგენელ სერგეი ჩერევატის განცხადებით, ბახმუტის მიმართულებაზე ქვეყნის ჯარი კასეტურ საბრძოლო მასალას უკვე აქტიურად იყენებს. „უკრაინის შეიარაღებული ძალები პარტნიორების მიერ მიწოდებულ ყველა საბრძოლო მასალას იყენებენ, თან ძალიან ეფექტურად“, - განაცხადა ჩერევატიმ.

* * *

ესპანეთის თავდაცვის სამინისტროს განცხადებით, უკრაინას ჰუმანიტარული და სამხედრო დახმარების პარტია გაუგზავნეს, რომელიც Leopard 2A4 ტანკებსაც მოიცავს. უწყების ცნობით, სანტანდერის პორტიდან უკრაინის მიმართულებით გემი გაემგზავრა და ტვირთი, რომელიც მასზეა განთავსებული, უკრაინის შეიარაღებულ ძალებს აგვისტოს დასაწყისში, სავარაუდოდ, სრულად გადაეცემა. „ესპანეთის მიერ გაგზავნილი ტვირთი შედგება Leopard 2A4-ის ტიპის 4 ტანკისგან, ასევე Leopard 2-ის 6 ტანკისგან“, - აცხადებენ უწყებაში. გარდა ამისა, მათი ინფორმაციით, ესპანეთმა უკრაინაში გაგზავნა TOA M-113-ის ტიპის 10 ჯავშანტექნიკა, მათგან სამი - უკრაინის სახელმწიფო სასაზღვრო სამსახურისთვის, 10 სატვირთო მანქანიდან ხუთი - მესაზღვრეებისთვის, დანარჩენი - შეიარაღებული ძალებისთვის, ასევე სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანები.

* * *

უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის წარმომადგენელ ანდრეი კოვალევის განცხადებით, უკრაინულმა ჯარებმა სამხრეთ ფრონტზე სტარომაიორსკის მიმართულებით წარმატებას მიაღწიეს, ასევე წინ მიიწევენ ბახმუტთან. „ისინი მაგრდებიან მიღწეულ ხაზებზე. მტერი აგრძელებს ძლიერ წინააღმდეგობას და იყენებს რეზერვებს“, - აღნიშნა კოვალევმა. ასევე, მისი თქმით, თავდაცვის ძალებმა ბახმუტის მიმართულებით ანდრეევკას მახლობლად მდებარე პოზიციებიდან რუსები უკუაგდეს. კოვალევის ინფორმაციით, უკრაინული ჯარები ახორციელებენ შეტევით ოპერაციებს ქალაქ ბახმუტის ჩრდილოეთით და სამხრეთით.

* * *

უკრაინის თავდაცვის სამინისტროს დაზვერვის მთავარი სამმართველოს წარმომადგენელ ანდრეი იუსოვის განცხადებით, რუსეთის ფედერაცია უპილოტო საფრენი აპარატების წარმოებას ზრდის. კერძოდ, საუბარია „ლანცეტის“ ტიპის „კამიკაძე“ დრონებზე. მისივე თქმით, რუსეთმა დრონების წარმოების პროგრამა უკვე შექმნა და ამჟამად მას ავითარებს. „წარმოების მოცულობები პროპაგანდის ნაწილია, მაგრამ ეს ფაქტორია, რომელიც ჩამოსაწერი ნამდვილად არ არის. რუსეთი აწარმოებს „ლანცეტებს“, ასევე შემოდის „შაჰედები“ და მალე ისინი განავითარებენ დრონების წარმოებას“, - განაცხადა იუსოვმა. მან ასევე აღნიშნა, რომ დრონების შეტევების მოსაგერიებლად უკრაინას ახალი შეიარაღება და საშუალებები სჭირდება. „ეს ჩვენი სამხედროების და სამოქალაქო პირების სიცოცხლის დაცვის საკითხია. გარდა ამისა, ეს ჩვენ კონტრშეტევას დააჩქარებს“, - განაცხადა დაზვერვის წარმომადგენელმა.

* * *

გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრ ჯეიმს კლევერლის განცხადებით, მოსკოვი, შესაძლოა, უკრაინის სურსათის ექსპორტის განადგურების მიზნით დაწყებული კამპანიის ფარგლებში შავ ზღვაში სამოქალაქო გემებს დაესხას თავს. „ჩვენ ამ არაკეთილსინდისიერ ქცევაზე გაეროს უშიშროების საბჭოში გავამახვილებთ ყურადღებას. რუსეთმა უნდა შეწყვიტოს გლობალური სურსათის მარაგების მძევლად აყვანა და შეთანხმებას დაუბრუნდეს“, - თქვა მან. შეგახსენებთ: რაც რუსეთმა გასულ კვირას მარცვლეულის შეთანხმება დატოვა, მან უკრაინის საპორტო ქალაქებზე თავდასხმები გააძლიერა.

* * *

უკრაინის პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის განცხადებით, დრონების არმიის პირველი წლის შედეგები უკვე არსებობს, ეს სიახლეებში ჩანს და კარგი ამბები დრონების გამოყენების შესახებ კიდევ უფრო გახშირდება. „ოფიციალურმა პირებმა წარმოადგინეს დრონების არმიის პირველი წლის შედეგები, უკვე არა პროექტის, არამედ უკრაინული დრონების ნამდვილი არმიის. არის შედეგები და ეს სიახლეებში ჩანს. კარგი ამბები უკრაინული დრონების გამოყენების შესახებ უფრო ხშირი გახდება და ეს მნიშვნელოვანია“, - აღნიშნა პრეზიდენტმა ზელენსკიმ. მისი თქმით, დრონების არმია გაიზრდება, უკრაინის შეიარაღებულ ძალებს სჭირდება ყველა ტიპის დრონი: საკმაოდ მარტივი „მავიკებით“ დაწყებული, საზღვაო და თავდასხმის დრონებით დამთავრებული, რომლებსაც დიდ მანძილზე მოქმედება შეუძლიათ.

* * *

2024 წლის ოლიმპიურ თამაშებში რუსების მონაწილეობამ შეიძლება ხელი შეუწყოს უკრაინაში მშვიდობის მიღწევას. ამის შესახებ უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პიტერ სიიარტომ 25 ივლისს იაპონიაში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტთან, სერ მიანთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა. მისი თქმით, შეზღუდვები ძლიერ სპორტსმენებს განვითარების საშუალებას არ აძლევს და პოლიტიკურ ეფექტს არ ახდენს. „სპორტსმენები, რომლებიც მთელი ცხოვრება მძიმედ ვარჯიშობენ და საერთო არაფერი აქვთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებთან, ბოიკოტით აგებენ. ოლიმპიადა არ უნდა იყოს პოლიტიზირებული, არამედ სპორტული და სპორტსმენისთვის, ოლიმპიადას აქვს ნამდვილი სამშვიდობო მისია“, - წერს ის. სიიარტო იხსენებს, რომ 1984 წელს ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე კომუნისტური ბოიკოტის გამო უნგრეთის ნაკრებმა ვერ მიიღო მონაწილეობა. უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ისევე, როგორც ქვეყნის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი, არაერთხელ აკეთებს რუსული პროპაგანდისთვის სასარგებლო განცხადებებს. წარსულში ორბანმა თქვა, რომ უკრაინა „ვერასდროს მოიგებს ომს“, რომ რუსეთი, როგორც ბირთვული ქვეყანა, „კუთხეში ვერ დადგება“, რომ „ომი შეიძლება დასრულდეს მხოლოდ რუსეთსა და ამერიკას შორის სამშვიდობო მოლაპარაკებებით“ და ასე შემდეგ.

**მოამზადა**
**ნაირა ფუტკარაძემ**

# საზაფხულო სკოლა – ბსუ-ში

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა მერაბ ხალვაშმა, ჟან მონეს კათედრის ხელმძღვანელმა, პროფესორმა მალხაზ ნაკაშიძემ და ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის აჭარის რეგიონულმა წარმომადგენელმა ირმა გაბინაშვილმა ბსუ-ში ჟან მონეს საზაფხულო სკოლა „კონსტიტუციური დემოკრატია ევროპის კავშირში: ძირითადი გამოწვევები და საქართველო“ გახსნეს. სკოლა მესამე წელია, ბსუ-ში იმართება და იგი ორგანიზებულია ჟან მონეს კათედრის „ევროპის კავშირის ძირითადი ღირებულებები: დემოკრატია, კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებების დაცვა“ ფარგლებში და აფინანსებს ევროკავშირის „ერაზმუს +“-ის ჟან მონეს პროგრამა.




საზაფხულო სკოლაში საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის სამართლის, საერთაშორისო ურთიერთობების, ევროპისმცოდნეობის და საჯარო მმართველობის სპეციალობის 30 სტუდენტი მონაწილეობს. ოთხდღიანი სკოლის მიზანია, ახალგაზრდებს მისცეს საბაზისო ცოდნა ევროკავშირის ინსტიტუტების, საქართველოში ევროინტეგრაციის კუთხით არსებული მექანიზმებისა და პროცესების შესახებ, გაზარდოს მათი ცნობიერება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი ევროპული ინსტიტუტების და ღირებულებების თაობაზე, გააქარწყლოს ევროკავშირზე და ევროინტეგრაციის პროცესზე გავრცელებული ნეგატიური პროპაგანდა, მითები და ჩამოაყალიბოს მათზე არგუმენტირებული პასუხები, მისცეს მონაწილეებს ფუნდამენტური ცოდნა ევროკავშირის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევების და მათი გადალახვის პერსპექტივების შესახებ, გააცნოს სტუდენტებს საქართველოს მიერ ევროინტეგრაციის მიმართულებით განხორციელებული რეფორმები, მიაწოდოს ინფორმაცია იმ სიკეთეების და უპირატესობების შესახებ, რასაც ევროკავშირი სთავაზობს საქართველოს.

ჟან მონეს საზაფხულო სკოლის ფარგლებში, სტუდენტები ეწვევიან საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და აჭარის უმაღლეს საბჭოს.

**ანკა ჩხიკვაძე**

# უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული გამოწვევები, მათი დაძლევის გზები და გეგმები განიხილეს

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, ბსუ-მა რექტორთა საბჭოს მორიგ სხდომას უმასპინძლა, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრ გიორგი ამილახვრის ხელმძღვანელობით გაიმართა. მასში სახელმწიფო და კერძო უნივერსიტეტების რექტორები და წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.




„საბჭოს შეხვედრაზე მინისტრმა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებმა ისეთ მნიშვნელოვან საკითხებზე იმსჯელეს, როგორებიცაა: სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული პრიორიტეტული პროგრამები, უცხოელ სტუდენტთა ჩარიცხვის მექანიზმები, სტუდენტებისთვის სახელმწიფო სტიპენდიები, საერთაშორისო ერთობლივი პროგრამებისა და აკრედიტაციების მხარდამჭერი მექანიზმები, დისტანციური განათლების აღიარების საკითხები და სხვა“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

როგორც უნივერსიტეტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაშია აღნიშნული, გიორგი ამილახვარმა შეხვედრისას განხილული საკითხების მოგვარების გზებზეც ისაუბრა და უნივერსიტეტების წარმომადგენლების შეკითხვებს უპასუხა.

შეხვედრის დასასრულ საბჭოს წევრებმა კოორდინირებული მუშაობის მზაობა გამოთქვეს.

საბჭოს შეხვედრაში აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე და აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი მონაწილეობდნენ.

პრესსამსახურის ცნობით, მინისტრის ინიციატივით, არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზე ეფექტიანი გადაწყვეტილებების დროულად მიღების მიზნით, რექტორთა საბჭოს ფორმატში უნივერსიტეტების ხელმძღვანელებთან შეხვედრებს პერმანენტული ხასიათი ექნება და ის საქართველოს მასშტაბით ყველა ავტორიზებულ საჯარო და კერძო უნივერსიტეტში გაიმართება.

**ამირან გურიელიძე**

# უახლესი კვლევებით, ასობით ადამიანის სიცოცხლე რისკის ქვეშაა

მე-2 გვერდიდან

როკშტორმი და მისი კოლეგები ირწმუნებიან, რომ ყველაფრის „უსაფრთხო“ და „სამართლიან“ საზღვრებში შესანარჩუნებლად გლობალური დათბობა ისე უნდა შეიზღუდოს, რომ საშუალო ტემპერატურამ ინდუსტრიალიზაციამდე არსებულს 1°C-ზე მეტით არ გადააჭარბოს, ეს კი ამჟამინდელ კლიმატურ მიზნებზე გაცილებით დაბლაა, ისევე როგორც რეალობაზე - 2023 წელს გლობალური საშუალო ტემპერატურა 1,2°C-ით მაღალი იქნება. მკვლევართა განცხადებით, 1,5°C ან 2°C-ით დათბობით გარდამტეხი წერტილების ალბათობა ძლიერ იზრდება.

ასობით მილიონი ადამიანი გარდაუვალი რისკის ქვეშ იმყოფება და ჩვენი პლანეტის გარკვეული ნაწილები შეიძლება აღარასოდეს გახდეს ისეთი, როგორიც იყო.

„ადამიანთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისთვის არაფერია საჭირო გლობალური ტრანსფორმაციის გარდა. ყველა მტკიცებულება მიუთითებს, რომ ეს სწორხაზოვანი სვლა არ იქნება. საჭიროა ნახტომი ჩვენს გაგებაში იმის შესახებ, როგორ შეიძლება ჩავაყენოთ სამართლიანობა, ეკონომიკა, ტექნოლოგიები და გლობალური თანამშრომლობა უსაფრთხო მომავლის სამსახურში“, - წერია მოხსენებაში.

# იქნებ დღეს სამყაროც გლოვობს

მე-5 გვერდიდან

ვიპოვეთ თქვენს შესამკობად სადარი სიტყვა. ხულოელებს გვიყვარს ყოველი, რაც თქვენს თავს გვაგონებს. თქვენთან ყოველი შეხვედრა, თითოეული ჩვენგანის ხსოვნაშია. არ წაშლილა და არც წაიშლება, სანამ ცოცხალი ვიქნებით, რადგან ჩვენთვის „მთის წყარო იყავ ანკარა, მთის უბეში რომ დიოდი“. ბედნიერებაა, როცა ტოვებ წუთისოფელს და წმინდა ცრემლით გაცილებენ არა მარტო ოჯახის წევრები, მეგობრები, არამედ ის ადამიანები, რომლებსაც ერთი შეხვედრითაც დაამახსოვრეთ თავი. ხულოს მაცხოვრის უპირველესი მოწაფეების, მოციქულების ნაფეხურებიან მიწაზე არსებულ ტაძრებში გინთებთ წმინდა სანთლებს და უფალს შევთხოვთ, თქვენი სული იქ დააბრძანოს, სადაც მართალნი განისვენებენ.

**ხულოელთა სახელით,**
**ეთერ დეკანაძე, იზოლდა სურმანიძე**

ხსოვნა

## მიხეილ მახარაძე

# მოწიწებით ვიხრით თავს მისი ხსოვნის წინაშე



კიდევ ერთი უახლოესი მეგობარი შეუერთდა მარადისობის იდუმალ სამყაროს. უმძიმესი და თავზარდამცემი იყო მიხეილ მახარაძის წასვლა ამ სოფლიდან. ვეთხოვებით მადლმოსილ ადამიანს, ვის გვერდითაც ნახევარ საუკუნეზე მეტი გაგვიტარებია, რომლის წასვლასთან ერთად ცხოვრების ნაწილი ინთქმება წარსულში და გვიტოვებს მხოლოდ ხსოვნას, სიხარულითა და ტკივილით აღსავსე მოგონებებს.

მიხეილი დაჯილდოებული იყო მრავალი სიკეთით: ზრდილობით და ქცევის კულტურით, კეთილშობილებით, პრინციპულობით, ზოგჯერ, შეიძლება, ზედმეტი სიმკაცრითაც, მაგრამ მუდამ სამართლიანი, თავმდაბალი გახლდათ. ეს საოცარი თვისებები, რომლებიც დღეს, სამწუხაროდ, ძალიან ცოტას ახასიათებს ან აღარაა ფასეული, უთუოდ მისი გენეტიკური მახასიათებელი იყო.

მიხეილის მამა - აბდულ მახარაძე ყველასგან განსხვავებული პიროვნება გახლდათ. მის სიტყვას დიდი ფასი ჰქონდა. თანასოფლელები უსაზღვრო სიყვარულითა და მოწიწებით იყვნენ განწყობილი მის მიმართ, ჭკუას ეკითხებოდნენ, ისიც, თავის მხრივ, არ იშურებდა ძალ-ღონეს მათ დასახმარებლად. მათთან იყო ჭირსა და ლხინში. მეუღლეც შესაფერისი შეახვედრა ღმერთმა - როსტომ ბერიძის ასული, აიშე, უსათნოესი და უკეთილშობილესი ქალი, ყველას გულშემატკივარი, დედაბოძად რომ შეუდგა მახარაძეების ოჯახს და ამ ოჯახის სიძლიერეს შეალია მთელი ცხოვრება. მათი სახლის კარი ყველასათვის ღია იყო. უყვარდათ აქ მისვლა, განსაკუთრებით, შვილების მეგობრებს. რვა შვილი - ორი ვაჟი და ექვსი ქალიშვილი აღუზარდეს ქვეყანას, მათ შორის მიხეილი ყველაზე უფროსი იყო.

მიხეილ მახარაძე დაიბადა 1946 წელს ქედის რაიონის სოფელ ვარჯანისში. 1963 წელს დაამთავრა სოფელ წონიარისის საშუალო სკოლა, ხოლო 1968 წელს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ეკონომისტის სპეციალობით.

1968-1970 წლებში მუშაობდა რუსეთში, პერმის საოლქო-საფინანსო განყოფილების უფროს ეკონომისტად, 1970-1974 წლებში - აჭარის ასსრ ფინანსთა სამინისტროს სახშემოსავლების განყოფილების უფროსის მოადგილედ, 1974-1977 წლებში - საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის სექტორის გამგედ, 1977-1983 წლებში - აჭარის ასსრ სტატისტიკური სამმართველოს უფროსად, 1983-1991 წლებში - საქართველოს კომპარტიის ქედის რაიკომის პირველ მდივნად. 1991-2000 წლებში ეწეოდა სამეწარმეო საქმიანობას. ბოლოს მუშაობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორად.

მიხეილ მახარაძემ არაჩვეულებრივად წარმოაჩინა თავისი ნიჭი, უნარი, ქვეყნისადმი, ხალხისადმი პატივისცემა და სიყვარული ყველგან, სადაც კი იმუშავა, ქვეყნის შიგნით თუ გარეთ, ამიტომ შემთხვევითი არ იყო, რომ იგი 1985 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, 1991 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს, 2004 წელს კი კვლავ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

მიხეილ მახარაძეს იცნობენ როგორც კრისტალურ პიროვნებას, უაღრესად ერუდირებულ, ყოველმხრივ განათლებულ, პრინციპულ და უკომპრომისო, უდიდესი პასუხისმგებლობით აღჭურვილ მოღვაწეს, რომელიც ნიჭიერებით, კეთილშობილებით, ადამიანებთან ურთიერთობის უნიკალური უნარით ცხოვრების ყველა ეტაპზე ლიდერის როლს უზადოდ ასრულებდა.

მიხეილის სწორედ კეთილშობილურმა ადამიანურმა თვისებებმა აპოვნინა მისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი, სახელოვანი მშობლების - ბატონ მამია ბოლქვაძისა და ქალბატონ გულნაზ შერვაშიძის ასული ნათელა ბოლქვაძე. ბრძენნი ამბობენ, რომ საუკეთესო წყარო ადამიანის ბედნიერებისა მოსიყვარულე ოჯახი და გულია. სწორედ ასეთი ოჯახი ჰქონდათ ბატონ მიხეილს და მის უსათნოესსა და უკეთილშობილეს მეუღლეს. ორი სამაგალითო ვაჟიშვილი აღზარდეს. ხარობდნენ შვილებით და შვილიშვილებით. მზრუნველი მშობლები მათ ადამიანების სიყვარულს, სიკეთესა და პატიოსნებას ასწავლიდნენ. ბოლო დროს ქალბატონი ნათელა თავს კარგად ვეღარ გრძნობდა, თანდათან მოეძალა ვერაგი სენი, ლოგინად მიაჯაჭვა და შეიწირა კიდეც, რამაც უამრავი ადამიანის მწუხარება, უდიდესი სინანული და გულწრფელი ცრემლი გამოიწვია. იმ ქარტეხილმა, რამაც მეუღლის გარდაცვალების გამო მიხეილის თავზე გადაიარა, კი არ გააბოროტა იგი, პირიქით, გააფაქიზა მისი შინაგანი სამყარო, ეს კი უზენაესთან მიახლოების საწინდარია.

მიხეილ მახარაძემ წარუშლელი კვალი დატოვა ამქვეყნად და მარად გვემახსოვრება ყველას, როგორც გულახდილი, მაღალი ზნეობის და საღი აზროვნების ადამიანი. ვაგლახ, რომ სწორედ ასეთი პიროვნებები აკლია ახლა ყველაზე მეტად ჩვენს ქვეყანას, რადგან უმაღლესი ადამიანური ღირებულებები - თანაგრძნობა, რაინდობა, ერთგულება, მეგობრობა, შენდობა აბსტრაქტულ ცნებებად ქცეულა, მათი კონკრეტული გამოვლინება კი სისუსტედ. მიხეილ მახარაძე ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნის, ვისაც ცხოვრების წესისა და გაკეთებული საქმის მეოხებით, სრული უფლება ჰქონდა, თვალი თამამად გაესწორებინა განვლილი წლებისთვის, თანამემამულეებისთვის, კოლეგებისა და მომავალი თაობისთვის. მთელი ჩვენი სიცოცხლე სამზადისია ამ ქვეყნის ღირსეულად დატოვებისთვის და სწორედ ასე დაასრულა სიცოცხლე მიხეილ მახარაძემ. იგი ერთი იმათგანია, ვინც მხოლოდ გადაინაცვლა იმიერ სამყაროში, ვინც ვალმოხდილი წავიდა, მაგრამ სამუდამოდ დარჩა მეხსიერებაში.

მოწიწებით ვხრით თავს მისი ხსოვნის წინაშე.

**მეგობრები**

აჭარის ღვაწლმოსილ მუშაკთა პატივმიგებისა და მადლიერების საზოგადოება, ასევე, დავით მამულაძის სახელობის საზოგადოება «მოამაგე» ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი ქალბატონი

**რენა მუსტაფას ასული სარიშვილი**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

გაზეთი «აჭარა» გთავაზობთ ნებისმიერი სახის დიზაინერულ მომსახურებას, დიზაინის თანამედროვე სტილში გადაწყვეტას, რეკლამის გაფორმებას, შერჩევას. დიზაინის დამზადების მსურველებმა მიმართეთ გაზეთ «აჭარის» სარეკლამო სამსახურს. ტელ: 27 48 93.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 26/07/23, 21 30 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# მიუზიკლი, რომელსაც ფერადი ემოციები მოაქვს

ნანა აბულაძე 577 20 35 90

*საოცარი ფერები, მუსიკა, ქორეოგრაფია, გადამდები საზეიმო განწყობა, რომელიც ორი საათის განმავლობაში გავიწყებს ყოფით სირთულეებს და გადაყავხარ სამყაროში, სადაც ყველას ყველა უყვარს, სადაც ყველაფერი ფერადია და შთამბეჭდავი. ბათუმის საზაფხულო თეატრმა მიუზიკლს „და, აი, ჩვენ აქ ვართ - „Mamma mia!“ უმასპინძლა*



ლეგენდარულ ჯგუფ „აბბას“ და მიუზიკლ „მამმა მიას“ ქართულ მოტივებზე შექმნილი წარმოდგენა, რომელიც „თეატრს“ ეკუთვნის, ერთიანად აღაფრთოვანებს მნახველს და უჩენს განცდას, რომ ცხოვრება მშვენიერია არაერთი კარგი თუ ნაკლებად კარგი მოულოდნელობის მიუხედავად. მიუზიკლი იტალიის კუნძულ პანტელერიაზე დატრიალებულ ამბებს გვიყვება, რომელიც ერთი ქალისა და სამი მამაკაცის სასიყვარულო ისტორიას აცოცხლებს და მთავარ „მესიჯს“ უგზავნის საზოგადოებას - თუ სიყვარული ნამდვილია, ის რაღაც ფორმით ყოველთვის გრძელდება შენში და მარადიულობის განცდას გიტოვებს.

გაზეთ „აჭარასთან“ მიუზიკლსა და ბათუმელ მაყურებელზე დამდგმელმა რეჟისორმა ზაალ ჩიქობავამ ისაუბრა.

- გავხსენით ახალი „თეატრი“, სადაც სხვა წარმოდგენებთან ერთად, შეიქმნა „მამმა მია“, რათა მასზე დამსწრე საზოგადოებას თავი ბედნიერად, ლაღად, მშვიდად ეგრძნო, რაც, სამწუხაროდ, ძალიან გვაკლია დღეს. სიყვარულის, სიკეთის, სითბოს ნაკლებობა იწვევს იმ ნეგატივსა და ქაოსს, რაც ხდება ირგვლივ და დაგროვილია სამყაროში. ჩვენ ვცდილობთ, გავანეიტრალოთ მუქი ფერები და საზეიმო განწყობა შევიტანოთ მაყურებელში. სპექტაკლი თავისი მუსიკით, რომელმაც დროს გაუძლო, კლასიკაა და არ კარგავს იმ მთავარ მუხტს, რაც ბედნიერების განცდას განიჭებს. არაჩვეულებრივ მსახიობებს, „თეატრის“ მოცეკვავეთა დასს, შემოქმედებით ჯგუფს, ყველას ვუხდი დიდ მადლობას. მათთან მუშაობა დიდი კომფორტი და ბედნიერებაა და, რაც მთავარია, მადლობა მაყურებლებს, რომლებიც გვაძლევენ უდიდეს მოტივაციას, რომ უფრო მეტი წარმოდგენა შევქმნათ ახალდაარსებულ „თეატრში“. მინდა, განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ბათუმს და ბათუმელებს. ბათუმს ძალიან უხდება თეატრი, ხელოვნება, ეს არის კულტურის ქალაქი. ყოველთვის მიხარია აქ ჩამოსვლა, სადაც მუდმივად მხვდება დიდი სითბო და სიყვარული, - გვითხრა ზაალ ჩიქობავამ.



მიუზიკლის დასრულების შემდეგ, ბათუმის საზაფხულო თეატრში დიდი ხნის განმავლობაში არ შეწყვეტილა ოვაციები, რაც კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ადამიანებს პოზიტიური განწყობის მომტანი ამბები ერთნაირად აღაფრთოვანებს.

- თეატრში დიდი ხანია ასეთი სიამოვნება არ მიმიღია. ეს იყო ზღვა ენერგეტიკის, საუკეთესო ემოციების საათები, რომელმაც სულ სხვა განზომილებაში გადამიყვანა. ვისაც ჯერ კიდევ არ უნახავს ეს მიუზიკლი, ვულოცავ - მათ ბედნიერების ფოიერვერკული განცდა ელოდებათ, - გვითხრა რუსუდან ვარშანიძემ.



# ბათუმში მსოფლიო რეკორდი დამყარდა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

აჭარის სპორტის დეპარტამენტის ფინანსური მხარდაჭერითა და აჭარის უძლიერეს მამაკაცთა ფედერაციის ორგანიზებით, ბათუმში მსოფლიო რეკორდი დამყარდა სიმძიმის გადატანაში. მისი ავტორია ორი უძლიერესი მამაკაცი - ბაგრატ ჟღენტი და ჭაბუკა ჭილაძე. მათ 15 ვაგონი, ჯამში 375 ტონა და 700 კილოგრამი ბეჭებით ორ მეტრზე გასწიეს.

ბაგრატმა შარშან დამყარებული საკუთარი რეკორდი გააუმჯობესა, როცა 10 ვაგონი გადასწია. ჭაბუკა ჭილაძისთვის ეს პირველი რეკორდი გახლდათ.




სხვათა შორის, ტექნიკური ხარვეზის გამო (ბაგირმა სიმძიმეს ვერ გაუძლო და გაწყდა), პირველ ცდაზე მატარებელი ვერ დაძრეს, თუმცა შემდეგ შეძლეს, ვაგონი ორ მეტრზე დაძრეს და რეკორდი დაამყარეს. ახლახან დამთავრებულ ევროპის უძლიერეს მამაკაცთა შორის საქართველოს უძლიერეს მამაკაცთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულია.

- ბედნიერი ვარ, რაც მიზნად დავისახეთ, შევასრულეთ, მე და ჩემმა მეწყვილემ ეს შევძელით. კიდევ გვინდა ახალი რეკორდები დავამყაროთ. ვფიქრობთ, გართობის პარკ „ცირცინათელაში“ ეშმაკის ბორბალი დავატრიალოთ და გინესის რეკორდი მოვხსნათ. აქ პირველ ცდაზე ბაგირმა ვერ გაგვიძლო, გაწყდა და ხელიც დავიზიანე, მაგრამ შემდეგ ცდაზე გამოგვივიდა. სამომავლოდ ოცი ვაგონის გაწევა გვინდა, - აღნიშნა ბაგრატმა.

- ხუთ მეტრზე უნდა გაგვეწია, მაგრამ ნახეთ, რომ ბაგირი გაწყდა. ამან ცოტათი იმოქმედა განწყობაზე. შემდეგში მოვემზადებით და კიდევ ერთ ამდენს აუცილებლად დავამატებთ, - აღნიშნა ჭაბუკამ.

საქართველოს უძლიერეს მამაკაცთა ფედერაციის დამფუძნებლისა და ნაკრების მთავარ მწვრთნელ ავთანდილ ახვლედიანის თქმით, ბიჭებმა შეუძლებელი შეძლეს ამ რეკორდის დასამყარებლად.



აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძემ აღნიშნა, რომ სამინისტრო კვლავაც დაუდგება გვერდით რეკორდსმენებს მსგავსი პროექტების განხორციელებაში, რაც უკვე საბიუჯეტო პროგრამაშია შეტანილი. ამასთან, სპორტის ამ სახეობაში მეტი ახალგაზრდის მოზიდვისთვისაცაა თანხა გათვალისწინებული.

აჭარის სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირმა ნიჟარაძემ რეკორდსმენებს წარმატება მიულოცა და ახალი რეკორდების დამყარება უსურვა.